ფასი 30 კაპ.

№ 3

წელიწადი მესამე.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შინაარსი.

1 † ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე. 2. ქართველი ძეგლის წინ, აკაკისა. 3. ამაოება. აკაკისა. 4. ჩემს კალამს, აკაკისა. 5. შეყვარებული დემონი და მტირალი ანგელოზი, აკაკისა. 6. უკანასკნელი, აკაკისა. 7. გულის პასუხი, აკაკისა. 8. მოგონება, სერგ. ბახტაძისა. 9. ცის ედემი, მინა რაჰველისა. 10. ვიტიროთ, თუ ვიცინოთ, ილია ბახტაძისა (ილ. ხონელი). 11. იმე! აკაკისა. 12. ქართული ფრესკები, გერონტი ქიქოძისა. 13. ჩემი ბრალია, ჩემი, ა. ხაბულიანისა. 14. სხვა და სხვა ამბავი. 15. აჰარლები და „აჩიკ სოზი", ივ. გომართელისა. 16. ქართველების და თურქების ურთიერთობა. 17. ქრისტეანი ქართველები ოსმალეთში. 18. დეუტატი აკაკი ჩხენკელის ავადმყოფობის გამო, პლ. ოხრობელისა. 19. რედაქციისგან

I თებერვალი 1917 წ.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოკიელოვისა.

ცხოვრება № 3.

1 თებერვალი 1917 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

† ნიკოლოზ ალექსანდრესძე ტარსაიძე.

განსვენებული ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე დაიბადა გორის მაზრის, სოფ. ბერშუეთში, 1855 წელს, ღვინობისთვის 10 ს. მამა მისი, ჩამომავლობით აზნაური, სამოსამართლო უწყებაში მსახურობდა.

პატარა კოლა, 9 წლისა რო შესრულდა, თავის (აწ განსვენებულ, ცნობილ თვალის მკურნალთან) ძმა—გიგოსთან (გიორგისთან) ერთად, თფილისის პირველ გიმნაზიაში მიცეს, საცა კურსი დაამთავრა 1875 წელს და ძმასთანვე ერთად გაემგზავრა ხარკოვის უნივერსიტეტში. იქ ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტათ ითვლებოდა იგი.

უნივერსიტეტის საიურიდიო ფაკულტეტი განსვენებულმა დაამთავრა 1876 წელს, რის შემდეგ, გამწესებულ იქნა სამსახურში ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოში. 1880 წელს განსვენებული დაინიშნა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლათ 1885 წელს, ამავე თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა სტავროპოლის საოლქო სასამართლოს რაიონში. 1891 წ. დაინიშნა სტავროპოლისვე საოლქო სასამართლოს ბრალდებლის თანაშემწეთ. *) 1895 წელს, ამავე თანამდებობაზე გადმოყვანილ იქნა თფილისის საოლქო სასამართლოში. 1901 წლის, აპრილის 24-ს, ნიკ. ალ—ძე დანიშნეს თფილისის საოლქო სასამართლოს წევრათ და ამ თანამდებობას დღემდი ასრულებდა.

*) 1894 წ. ივლისში, მე და აგრანომმა თავ. ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პრასკოვეიაში (სტავროპოლის გუბ.) გავიცანით. იგი მოვიდა ჩვენთან და თელი ორი დღე ჩვენთან დარჩა, არა გვშორდებოდა და დიდი კეთილ შობილი ქართველი კაცის ჩაბეჭდილებაც მოახდინა ჩვენზე. ასეთივე იშვიათი გულის და ტალანტის პატრონი იყო ნიკოს ძმა—გიგოც, გამოჩენილი ოკულისტი თელ კავკასიაში, რომელმაც მე მიხსნა დაბრმავებისგან.

ეს ორი ძმა უფრო ამერიკელები იყვენ, ვიდრე ქართველები და მათი უანგაროობით გაოცებულიც ვიყავი. რა იქნებოდა ჩვენი საქართველო, რომ ასეთი შვილები ბევრი ეზდებოდეს მას.

რომანოზ ფანცხავა.

განსვენებული ცნობილი იყო, როგორც მიუდგომელი მსაჯული, გულწრფელი და სათნო ადამიანი, იშვიათი პატიოსნების პატრონი. მტკიცეთ და გაბედულათ იცავდა ყველგან და ყოველთვის თავისს რწმენას. ამიტომაც იყო, რო ყველა, ვისთანაც მას საქმე ქონდა, იშვიათი სიყვარულით და პატივისცემით ეკიდებოდა. სხვათა შორს, ნიკ. ალ—ძე იმითი იყო ცნობილი, რომ არ ერიდებოდა სასამართლოში საქმის ქართულათ წარმოებას, თვისი თავმჯდომარობის დროს, კრებას ქართულათ აწარმოებდა: ქართულათ ეკითხებოდა მოწმეებს, ქართულათ ჯავრობდა, ქართულათ ოხუნჯობდა...

განსვენებულს ქართველი საზოგადოება სხვა მხრითაც იცნობდა. იგი ერთ ხანს ქართულ დრამატულ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგათ (და დროებით თანამდებობის აღმასრულებლათაც) იყო და ეს ხანა ერთ-ერთი საუკეთესო ხანა იყო ამ საზოგადოების ცხოვრებაში. მას შემდეგაც, რაც გამგეობის წევრობას თავი გაანება, განსვენებული გულმხურვალეთ ეკიდებოდა დრამატულ საზოგადოების საქმეებს, მონაწილობას იღებდა საპენსიო წესდების შემუშავებაში და სხ.

ბოლო დროს, ნიკ. ალ—ძემ ზოგიერთ ქართულ გალობის მცოდნეებთან ერთად, განიზრახა დიდი ქართულ მგალობელთა გუნდის შედგენა და შესაფერის წესდების შემუშავებასაც შეუდგა...

სიკვდილმა ხელი შეუშალა ამ განზრახვას..

ნიკ. ალ.-ძე გარდაიცვალა იანვრის ათს, ქ. განჯაში.

მიცვალებულის ცხედარი საღამოს მატარებლით მოასვენეს თფილისში და იქვე დაასაფლავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაოება.

შედარებით, თუ არა,
კაცი ყველა ერთია,
არც დიდი, არც პატარა...
დიდი მხოლოთ ღმერთია.

—

შენ მე მჯობნი, მე იმას
და მე კიდევ-სხვა ვინმე;
ის მაღლაა, ეს დაბლა,
ხან უკანვარ, ხან წინ-მე.

—

ბრუნავს ჩარხი ცხოვრების,
ხან უკუღმა, ხან წაღმა;
დღეს სხვა ვართ და ხვალ სულ სხვა,
ხან ბატონი და ხანყმა.

—

ხან ისე ვართ, ხან ასე,
ხან კარგათ, ხან ავათა,
ვერც ვტირით, ვერც ვიცინით
ჩვენით, ჩვენდა თავათა!

—

მაშ, რაღა გვადიდებულებს,
თუ არრა გვაბადია?

გარდა შემომქმედისა
ყველა ცვალებადია!..

—

ვთქვათ, საფსონ ძლიერი ვართ,
დღეს სიცოცხლით აღვსილი,
გვიკბენს პატარა მწერი, —
გავქრებით, ვით აჩდილი.

—

ანსოლომონ ბძენი ვართ,
ქვეყნათ სწორ-უპოვარი;
ერთი სულის შებერვით
ქრება ჩვენი ლამპარი.

—

დღეს რო შვენიერებით
იოსებს ვედარებით,
ხვალ, ეგებ, სანახავად
მტერსაც შევეზარებით.

—

უცვლელი, საუკუნო
ქვეყნათ არაფერია!
ბედის წიგნში განგებას
ასე ჩაუწერია.

აკაკი.

1903 წ.

ჩემს კალამს.

კალამო სანაღველ-თაფლო,
ჩემო მახვილო და ფარო!
სასაიდუმლო გულისა,
ხან თქვი! — ხან უნდა დაფარო

—

ის, რაც ჩემ გძნობა-გონებას,
შეუთხზავს, შეუწონია
და, რაც ხან-და-ხან გარეშეს,
ოცობოდია გონია!

—

კალამო, სხვისგან მოძღვნილო,
და ძმობის საწინდარი ხარ!
ბევრს ეუბნები ამ ჩემ გულს,
თუმც-კი უსულო... მკვდარი ხარ.

—

ოქროს წყალში ხარ ნაბანი,
შიგ გულათ ჩასმულ თვლებითა...
თილისმურ ძალით გონების
და გძნობის ამაღლებითა.

—

ორგულო, მარა ერთგულო,
კალამო, მახვილ-კვერთხოვო!
თან უნდა ჩამყვე საფლავში,
სოფელს რო გამოვეთხოვო!

აკაკი.

შეყვარებული დემონი და მტირალი ანგელოზი.

I

თუ არ მაცდუნებს ოცნების სიტკბო
და, რაც მგონია, ის მართალია,
ვინ არ იწამოს, რო სიყვარული
საალმაფრენო „ძალთა-ძალია?“

—

მე ურჩი ზეცის და ანგელოზთა,
მეტოქი ძალი, შეუპოვარი,
ვითვალის-წინებ მიწისშვილს უფლათ,
როგორც მსახური და მათხოვარი.

—

მისთვის უძღვნია ცა და ქვეყანას,
რაც საგვირგვინო რამ-კი ქონია
და, რაც მომაკვდავს სხვას აქამომდი,
მხოლოთ სახელით გაუგონია.

—

მთიებთა შუქი, ენა ბულბულის,
ვარდის ელ-ფერი და სუნნელება
შეუთხზავს ერთად და მოუქარგავს
ზედ სიყვარული და განახლება.

—

ვხედავ და, როგორც ერთხელ პირველ ქმნილს,
ისევ მეღება სამოთხის კარი!..
და უცნაური ვინ არს ეს ძალი?
სიყვარულია წმიდა!.. თამარი!

II

ნათლის სვეტზე, სხივის კიბით,
ციურ მადლით მომღიმარე,
გადმოეშვა ანგელოზი
შუქ-მომფენი, ფთებ-ელვარე.

—

დაინახა ქვეყნის ტანჯვა,
მწარე კვნესა მოისმინა;

თანაგძნობის სიბრალულმა
აიტანა... მოიწყინა.

—

თქვა: უფალო! ეს ქვეყანა
თვით უბიწოს წილ ხვედრია;
შენ მმოსავს და მავედრებელს
ცრემლიც ბევრი დაუღვრია.

—

სასოებათ და ნუგეშათ
გულში ედვათ წმიდა მცნება;
დღეს-კი ხელში შერჩენია
მხოლოთ ლანდი და ოცნება.

—

მეუფეო: მე ცრემლებს ვღვრი
და ხარხარებს ბელზებელი;
მასთან ერთად მხიარულობს
თვით იუდა გამცემელი.

—

ვინც შენივე სახელითა
აბნელებს და ბილწავს ნათელს,
სასოებას უკარგავს ერს,
ტკბილში ურევს შხამს და ნაღველს.

—

ორთა-ერთა მოღალატე
გაიძვერობს ზეცის მტერი?
ოჰ, უფალო, განსაცთლისგან,
ვით ჭირისგან, იხსენ ერი!..

აკაკი.

უკანასკნელი.

თურმე, მყოლია მეც მეგობრები,
მე-კი ვფიქრობდი შეცდომით სულ სხვას!
სიკვდილის წინათ მათმა მოქცევამ
ფთები შეკვეცა წინა განზრახვას.

—

ეს დეპეშები, ეს წერილები,
გუნდი მნახველთა აღელვებული,
ყველა მიმტკიცებს, რო სასიკვდილოთ
არ ვარ ჯერ კიდევ გამეტებული...

—

მარა, რაღა დროს?! ძველი ანდაზა
შეფერის მხოლოთ ჩემსა საფლავსა:
მოლა შიმშილით მოკლეს და, შემდეგ,
პირში აყრიდენ მუჭ-მუჭა ფლავსა.

—

რაღა ვარ ახლა! მის მეასედი,
რაც რო ვიყავი... მეტი აღარა,
და ძველებურათ რო გამოავბრუნდე—
მაზე-კი უარს ამბობს ჭაღრა!

—

ცალ-თვალი, ცალიც გაფუჭებული,
რაც არ შეშვენის უზიანო თვალს!..
მარა უთვალოც კარგადა ვხედავ,
როგორც ჩვენს წარსულს, ისე მომავალს...

—

დიახ, მომავალს სულ სხვანაირათ,
თავისუფლებით აღყვავებულსა,
რაც რომ აწმყოში მენატრებოდა
და ეკლათ ესვა ჩემ დამწვარ გულსა...

—

მე კი... მშვიდობით... ჩვენ წინაპრებთან
მიგდივარ მეცა განსასვენებლათ,
და ხინჯათ გულში მიმყვება მხოლოთ,
რო ვერ გავმხდარვარ სამშობლოს სხვერპლათ...

აკაკი.

1904 წ. 7 დეკემბერი. თფილისი.

გულის პასუხი.

მე შენ მიყვარდი ციური გძნობით,
ვით პოეზია, როგორც ლვთაება,
და შენ თვალებში მეხატებოდა
სასუფეველი და უკვდავება!

—

ჭირში, თუ ლხინში, ფხიზლათ, თუ ძილში
მცველ-ანგელოზათ მელანდებოდი
და, ვით ხატის წინ, წმინდა სანთელი,
უბიწო სხვერპლათ შენ წინ ვდნებოდი.

—

უხმო-უსიტყვო გძნობათა ლოცვა,
საანგელოზოთ, რომ ენთებოდა,
ციურ მანანათ, ნუგეშის ცრემლათ
უჩინრათ გულსვე ეწვეთებოდა.

—

მარა ჯოჯოხეთს და ბოროტ სულებს
არ ასვენებდა ციური ძალა

და უკვდავების წმიდა წყაროში
ჩააწვეთწვეთეს შხამი... სამსალა!

—

შენც შეგარყიეს... უსამართლობამ
ულმრთოდ გააქრო ტრფობის ლამპარი
და მაშინ ბნელში დავრჩი მეც ობლათ
უსულ-გულოცა და ცოცხალ-მკვდარი.

აკაკი.

მოგონება.*)

შესრულდა ორი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენ სამუდამოთ გამოვეთხოვეთ ჩვენ სიამაყეს-აკაკის.

ჩვენთვის აკაკი დაუვიწყარია, ის საქართველოს ცოცხალი გულისთქმაა.

ვინც დაკვირვებია აკაკის, არ შეიძლება არ შეენიშნა, რო ყოველგან, სადაც ის გამოჩდებოდა, მას შექონდა თვისი ძლიერათ მჭრელი, მახვილი, ორპოფათ გამომეტყველი ენით, დიდი სიცხოველე და მხიარულება. მარა აკაკის მხიარულებას და სიმახვილეს თან ახლდა **სევდა**. ის არ იყო სანეტარო მხიარულება... აკაკის სიმახვილეში, მის ღიმილში, ხშირათ, ძალიან ხშირათაც, უმეტეს შემთხვევაში, მეტი იყო დიდათ დამაფიქრებელი და სატირალი, ვიდრე სამხიარულო. მგოსანი მუდამ და განუწყვეტლათ საქართველოს ღრმა ჭირ-ვარამის მატარებელი იყო. მეტს ვიტყვი და, მგონია, უკეთაც დავახასიათებ მის სულის-კვეთებას. ის იყო თელი თვისი დიადი არსებით და სულიერი მდგომარეობით ნამდვილი, რო ვთქვათ ჩვენებურათ, თმა გაშლილი საქართველოს ჭირისუფალი. ყოველთვის და ყოველგან ერთი დედა აზრით იყო გამშვალული და მარტო იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოელის მომავალში მის დაობლებულ სამშობლოს...

მისი ჩანგის დიდ სევდიან კვნესას საზღვარი არ უჩდა...

ეს მოტივი უმთავრესი მოტივი იყო თელი მისი სულიერი მდგომარეობისა, კერძო მისი არსებითი ინტერესებიც-კი მივიწყებული ქონდა მას, ცოლი და შვილიც, თუ შეახსენებდენ თავს, თორე ისინიც მივიწყებული იყვენ მისგან.

დღეს რო უკან, მოვიხედოთ გადავხედოთ აკაკის გავლილ ცხოვრებას, რა წარმოგვიდგება თვალის წინ!

ამ დიდი ოჯახიშვილს უბრალო მუდმივი ბინაც-კი არ ქონდა, თითქო ამ წუთისოფლის ავლა-დიდება მის ყურათღებას არ იქცევდა. იქამდი მიდიოდა მისი გატაცება უმთავრესი მოტივით, რო თითქო ამ ცოდვილ ქვეყანაზე ის განგებისგან მოევლინა საქართველოს, დიდი გაჭივრების დროს, აღვიძებდა მას, უნერგავდა სამერმისო იმედებს, ათვითცნობიერებდა მას, და მით შეასრულა თვისი დიდი დანიშნულება და წავიდა ვალგადახდილი თვით წინაპრებთან.

აკაკი საქართველოს ცაზე სხივ-მომფინარე უძლიერესი მოკიაფე ვარსკვლავია. დროთასვლით, ამ მნათობის სხივი თანდათან გაძლიერდება, გაიშლება და სამშობლოს შემოქმედობის და არსებობის ძალათ ვადაიქცევა.

საოცარი იყო აკაკი, როცა შემოქმედობის ალმურში იყო გახვეული. იგი მაშინ ზეციერი იყო. პატარა ლექსებს ისე წერდა, როგორც იწერება მოკითხვის კერძო წერილები—ერთი მიჯდომით მაგიდასთან. როგორც არა ერთხელ უთქვამს, ლექსი, რითმა მისთვის საფიქრებელი არ იყო. თუ აზრი, იდეა მომივიდა თავში, რითმა თავისთავათ მოდისო, ამბობდა. და მართლაც, ძვირათ მინახავს, რო მას სიტყვა და, მით უფრო, წინადადება, თვისი დაწერილი, შეეცვალოს, გადაესწორებიოს. ამ შემთხვევაში, აკაკი სიტყვის დიადი საოცარი ხელოვანი იყო..

მახსოვს, დრამა **„ვორონცოვი“** განიზრახა დაეწერა. ამ აზრს რამდენიმე დღე ატარებდა გადუწყვეტლათ იმისა, თუ როგორ დაეწერა? შემდეგ, გადაწყვეტილათ მითხრა, რო დაწერს პროზათ.

იმ დროს აკაკი ჩემთან ცხოვრობდა, ქუთაისში. ისეთი ხალისით, ჰაბუკური გატაცებით შეუდგა ამ დრამის მოქმედი ტიპების დამუშავებას, მათი სახეთა და მოქმედების ჩამოყალიბებას, რო გეგონებოდათ ახლა პირველათ იგემა მწერლობის დიდი სიტკბოებაო. ყოველ დღე პიესის მოქმედ პირებზე ქონდა ლაპარაკი, სადილზე, თუ საღამოს ჩაიზე. როდესაც-კი შეხვდებოდით, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ორბელიანის ქალი და სხ. განუშორებელ მის საზოგადოებას შეადგენდენ, სულ მათზე ქონდა საუბარი.

გავიდა არა უმეტეს ერთი კვირისა, აკა-

*) ჩემი მოგონება აკაკიზე, უადგილობის გამო, ახლაცვერ ისტამბება. **ხომლელი.**

კიმ გამომიცხადა, რო მან უკვე დაწერა „ორი **მოქმედება** ხსენებულ **დრამისა**. მე გავიკვირე და თან ვთხოვე, ეჩვეიებია იგი. გაიცინა და ღიმილით მითხრა: განა გგონია, რო ქაღალდზე დავწერე?

—მოფიქრებული მაქვს, მინდა მხოლოთ დრო და მოცალება, რო ქაღალდზე გადვიტანოო... გავიდა პატარა ხანი და აკაკიმ გადაწყვიტა შეეცვალა თვისი თხზულების ფორმა, ე. ი., მიეტოვებია პროზით წერა და ლექსათ დაეწერა პოემა. ეს გადაწყვეტილობა ბეჯითი იყო.

ჩემ შეკითხვაზე, რისთვის შეცვალა წინანდელი გადაწყვეტილება, მომიგო: არის იმისანა ადგილები, სადაც პოეტის ალმაფრენას თავისუფლება უნდა მიეცეს, მასთან ჩემთვის ლექსათ დაწერა უფრო სახელდახელო და სახალისოც არისო.

სანამ სულ არ დაასრულა ფიქრი და ზრუნვა ამ თხზულების შესახებ, შეატყობდით, რო ეს კაცი ერთი მიზნით იყო ღრმათ გამქვალული და, თუკი დროს გინახავდა, ჩამოაგდებდა ბაასს ვორონცოვის დროის შესახებ და მაშინდელ საქართველოს ვითარებაზე, თითქო ის ცხოვრობდა იმ დროინდელ ჩვენ წარჩინებულ მოღვაწეთა შორის, ცოცხლათ ქონდა თავის წარნოდგენაში აღდგენილი ჩვენი წარსული... მე, როდესაც შევნიშნე აკაკის ეს შემოქმედებითი დიდი სიცხოველე და მღელვარება, ვცდილობდი მიმეცა მისთვის სრული თავისუფლება და უზრუნველყოფა.:. ის მაშინ ბედნიერი იყო.. გაშლილი იყო მისთვის საოცნებო მოედანი. ეს სულ სხვა აკაკი იყო, მოცილებული ბიწიერ წუთა-სოფლის ზრახვას, შემოქმედობის ალმურში სულ ერთიანა გახვეული, ის წარმოგიდგებოდათ დიდებულ მლოცველ ჭირისუფლათ წამდგარი თვისი წმიდა სამლოცველოში, სადაც „მისი ხატი იყო სამშობლო, სახატე თელი ქვეყანა"... — პოემის **„ვორონცოვის"** შექმნა ეკუთვნის, როგორც მაგონდება, 1908 წელს, აკაკის პარიზის გამგზავრების წინა დროს.

წარმოიდგინეთ, „დაწერილი" ქონდა ეს პოემა, როგორც თვით ამბობდა, მარა ქაღალდზე არ ქონდა გადატანილი „დროს უქონლობის გამო".*)

იშოვა დრო ქაღალდზე გადასატანათ მხოლოთ პარიზში და ისიც შემთხვევით. ავათ შეიქნა და მკურნალებს აეკძალათ ავათმყოფისთვის გარეთ გამოსვლა, რასაც მწერს იქიდან. აი, იმისი წერილიც:

„საყვარელო ძმაო და მეგობარო, სერგო!

ძალიან წუხვარ, რო ვერ გამოგეთხოვე წამოსვლის დროს; მით უფრო, რო არ ვიცი, როდის დავბრუნდები, და ან სულ დავბრუნდები, თუ არა? წამოველ პარახოდით, ჩავუარე სათათრეთს, საბერძნეთს, იტალიას და ზღვით მოვედი მარსელში. იქიდან ჩამოველ პარიზში დამასუკან აქა ვარ..- ჯერ ოთახიდან არ გამოსულვარ... ავათ ვარ და მკურნალი დადის. ისე მოწყენილი ვარ, რო ლამის გავგიჟდე. მარა წერას ვაყოლებ გულს. გინდ ოთხ-ხუთ წელიწადსაც ვერ დავწერდი იმდენს, რაც აქ ამ ერთ თვეში დავწერე: 1) პოემა: **„ვორონცოვი"**, 2) სტატიები: **„ჩვენ და სომხები", როგორ დაარსდენ ჩვენი ბანკები და უკანასკნელი კრებანი", „ტრაპიზონი."** და ერთიც მოთხრობა **„ნამდვილი ამ ავი** ახალმოძრაობიდან". ისე ვაცხობ, როგორც ელისე, მჭადს*.) მარა ყველა ამ ჩემ ნაწერებს ელისეს გამომცხვარ ერთ მჭადში-კი გავცვლიდი, რო ვინმე მომცემდეს. მარა სად არი? მართლა რო, მომინელა ფრანგულმა საჭმელებმა: ვეღარ გამირჩევია, ძროხის ხორცია, თუ ძაღლის? წიწილი, თუ ბაყაყი?... სხვა რა მოგწერო? ამბობენ, პარიზი კარგიაო! მარა მე ვერა შევატყვერა! ალბათ, ჩემი სიბერის ბრალია!...

გულით შენი მოყვარული

აკაკი.

ამ წერილით გავიგე, რო პოემა **„ვორონცოვი"** აკაკის გადაეტანა ქაღალდზე და ვინ იცის? პარიზში რო არ ყოფილიყო და ავათ არ გამხდარიყო, შეიძლება, კიდევ ეტარებია პოეტს ეს პოემა თავის წარმოდგენაში, ქაღალდზე გადუტანელი.

სერგ. ბახტაძე.

*) საღამოობით, უსათუოდ, კლუბში უნდა წასულიყო. გვიან (4-5 საათზე, დილით) ბრუნდებოდა, პირველ საათამდის ეძინა და, მართლაც, რო ამისანა დიდი თხზულებისთვის ვერ შოულობდა დროს.

ავტ.

*) ელისე—ჩემი მსახურია, რომლის გამომცხვარ მჭადს, პოეტი აღტაცებაში მოყავდა.

ავტ.

ცის ედემი.

(აკაკის გარდ. 2 წლის თავის ალს.)

მოგონების დაქრის სიო,
სივრცე მწუხრით იბურება;
შავ ძაძებში კვნესის მთები,
მდელო ცრემლათ იწურება.
გულ ამოსკვნით მოთქვამს ერი:
„მოკვდა, გაქრა ის სულ მნათი,
ვინც გვიმღერდა შვების ჰანგებს,
ბნელში მოგვცა გასანათი!“...

———

ძინავს ცის ზღვას, ძინავს ტალღას,
ცის იერზე შეგუბებულს,
ჰმუნვარების ნისლით მოსილს,
გულის ცემა შეყენებულს;
ძინავს-გლოვის მწარე ძილით,
სევდა უფლობს, კვნესის, ცივა,
უსიცოცხლო ცის ცივ ქვაგულს
მარგალიტის ცრემლი ცვივა!..

———

ცის იერთა უჭკნობ ედემს—
ცოდვის ხელით მიუწდომელს,
მარათ ფურჩქნილ-აყვავებულს
სიხალისე-ჩაუქრობელს,
ტკბილ შადრევნის თქეფა-თქრიალს,
შვების წყარო-დაუშრობელს;
მნათ-ხელთ უქმნელ სულის ტაძარს—
ვარსკვლავებით აშენებულს...

———

მარგალიტით ნაქსოვ კანდელს,
სიყვარულით გაბწყინებულს,
მზის ოქროს ფერ სხივთა სვეტით,
ცის ტატნობზე მიკიდებულს, —
ვერა უფლობს გლოვის ჰანგი,
ვერვის პოვებთ ცრემლსა ღვრიდეს:
დრო ვერა შლის მწუხრით ნაქსოვ,
სევდით ნაქარგ შავ ბნელ რიდეს...

———

იქ არ ესმით, რა არს კვნესა!..
თუ იქ ბრუნავს ცოდვის ხელი,
თუ იქ ცოცხლობს წუთიერათ,
ცის ნასხლეტი ხორციელი!..
რათ იქცევა ტანჯვის ცრემლი,
სათ, რათ სუფევს თვით სიკვდილი?...
რისთვის გმინავს მწარე ბედ ქვეშ
ხუნდ შეყრილი მიწის შვილი?...

———

მარათ ტკბილათ გაძახიან
ცის ანგელოზთ ურიცხვთ კრება:
„ვინც ბწყინავდა სათნოებით,
არ მომკვდარა, არც მოკვდება!“

მინა რაჭველი.

ვიტირეთ, თუ ვიცინეთ?*)

(წერილი პეტერბურგიდან)

მოგეხსენებათ, 1 მარტის უბედურების გამო, პეტერბურღში შეიკრიბენ დეპუტაციები რუსეთის სხვა-და სხვა კუთხეებიდან.

ჩამოვიდენ ჩვენებიც, კავკასიიდან.

დეპუტატებმა აასრულეს თვისი პირდაპირი დანიშნულება, თაყვანი ცეს მიცვალებული ხელმწიფის გვამს, გამოუცხადეს მისს უდიდებულესობას ახალ ხელმწიფეს, თვისი ქვეშევრდომითი გძნობები და... დაფიქრდენ: რა ვქნათ ახლაო?.

შედეგი ამ დაფიქრებისა სულ სხვა-და-სხვა გვარი გამოდგა და, აი, მეც ამაზე მინდა მოველაპარაკო დღეს „დროების“ მკითხველებს. გასაკუთრებით ყურათღებას ვთხოვ იმათ, ვინც საქართველოს პატივცემულ თავადთა და აზნაურთ წოდებას ეკუთვნის.

ყველა დეპუტიციებში ორმა მიიზიდა პეტერბურღელი საზოგადოების გასაკუთრებითი ყურათღება: პოლონელებისამ და საქართველოსამ. ეს გასაკვირალიც არ არის. ორივე მხარე არ შეადგენს რუსეთის ბუნებით ნაწილს, ორივესი პოლიტიკური მდგომარეობა ახლა ერთი-და იგივეა, ორივენი მოკლებულია ნეტარ ხსენებულ მიცვალებულ **იმპერატორის**-გან ნაბოძებ რეფორმებს და ორივეს, როგორც მოგეხსენებათ, არ აწყენს ეს რეფორმები.

„თუ პირდაპირ არ ითხოვენ თავის ქვეყნისთვის რამე სიკეთეს,—ამბობდენ პეტერბურღში, ანიშნებენ მაინც, რაა სასარგებლო მათთვის და რა მავნებელი! ეს მოლოდინი ასრულდა:

*) ილ. ხონელის სულ პირველათ დაწერილი ფელეტონი ეს არის. რედ.

ამ ორმა დეპუტაციამ არა თუ ანიშნეს, პირ-და-პირ გააცხადეს: მე ესა და მე ესაო!..

პირველი ნაბიჯი ეკუთვნის პოლონეთის დეპუტაციას. ერთმა ამ დეპუტაციის წევრთაგანმა, გრაფმა ზამოისკიმ, მიართვა ხელმწიფე იმპერატორს „პეტიცია“, რომელშიაც თხოვდა მისს იმპერატორებითი უდიდებულესობას პოლონეთის ახლანდელი მდგომარეობის სხვა და სხვა შესუბუქებას. გაზეთებში მოხსენებულია, ეს პეტიცია თხოულობს რეფორმების მინიჭებას პოლონეთისთვისო და, სხვათა შორის, ნაციონალური ენის აღდგენას, როგორც სასწავლებლებში, აგრეთვე სამსჯავროებში და, საზოგადოთ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში... ხელმწიფე იმპერატორმა გულმოწყალეთ მოისმინა ეს პატრიოტული თხოვნა და ზედ ისეთი პასუხი დართოო,—უმატებენ გაზეთები—როგორიც ეკადრებოდა კეთილშობილი ქვეყნის კეთილშობილ შვილსო...

ზამოისკის დაფნის გვირგვინმა არ დააძინა ჩვენი დეპუტატები! როგორ თუ ზამოისკიმ, და ჩვენ არაო?! ღმერთო მომკალი და რით ჩამოვურჩებით უკან პოლონელებსო?! ჩვენც უნდა ვითხოვოთ, რასაკვირველია, მარა საქმე ისაა, რა? ენა, მადლობა ღმერთს, პირიდან არავის ამოუგლეჯია ჯერ ჩვენთვისო და ეს რეფორმებია, თუ რაღაც ჯანაბა, ვენაცვალე ღთვის სახელს, ღვინის მოსავალი, ნაკარი-კი აფუჭებს ხან-და-ხან, მარა მაინც გვარიანია,—ასე რო სხვა სასმელები არ გვჭირდება. თუა საჭმელი ეს რეფორმები, არ გაგვიწყრეს ღმერთი, და ცუდი რამ საჭმელი—ფრანცუზების ბაყაყების არ იყოს, არ შამოგვაპარონო!.. არ მოგვიწონებენო... ამომრჩეველები...

მარა ტყვილა—კი არაა ნათქვამი, როდესაც არ მოელი წყალობას, ღმერთი მაშინ გიგზავნის ხოლმე! ასე დაემართა ამათაც. ერთ შვენიერ დილას, ჩვენი „ლეპუნტატები“ ისხდენ დემუტის სასტუმროში და ფიქრობდენ: ნეტავ, ერთი გვაცოდინა: საჭმელია, თუ სასმელიაო ზამოისკი, რო თხიულობსო? ამ დროს, შამოვარდა მათთან ოთახში ერთი „ჭკუის კოლოფი“ და ცრემლით შეჩივლა: ასე და ასეო, ახალი ვენზელები *) გამოვიდა მხრებზე დასაკერებლათ, ყველას მიცეს, უკანასკვნელ სალდათსაცო და ჩვენ-კი, „კანვოიცები“ გამოგვტოვესო!

—ხუმრობ, თუ მართალს ამბობ? როგორ გამოგვტოვესო?!.. ნუ თუ ამის მეტი პატივი არა აქვთ ჩვენი. ღალატობას გვწამობენ, თუ ორგულობას?.. არა, ეს ასე არ იქნება!.. თლად შევძრავ პეტერბურღს—საქართველოს-კი არ დავღუპვ! წამოიძახა ერთმა.

—შენ რასიტყვი, ა—ნ?

—შენ, თუ რამეს გვიშველი, ბატონო, თორე გლახათაა საქმე. ამ სიშორეზე ვართ, იქ რომ უვენზელოთ საქართველო დეიქცეს,—ბოვშები მეცოდებიან, თორე სხვა არას ვჩივიო. მიუგო გულმწუხარეთ ა—ნმა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო; ცრემლების მოსაწმენდათ. „ერთმა მათგანმა შეიმოსა, ვითარცა რძალი და შეიმკო, ვითარცა სიძე“ და გასწია მამულის დასახსნელათ. იმისანა რაინდული და გამბედავი შეხედულობა ქონდაო—აბბობდენ ნევის პროსპეკტზე, რო სულ დააფთხო, თურმე, პოლიციელები. ფოტოგრაფს შაპიროს, რომელიც გამოჩენილი პირების პორტრეთებს აგროვებს, უნდოდა თურმე, ჩამომავლობის გასაკვირველათ, გადაეღო მისი პორტრეთი და, ამგვარათ, შეენახა მომავალი თაობისთვის დიდი პატრიოტის სახე. მარა, საუბედუროთ, ნისლიანი დღე იყო და არა გამოვიდა რა!..

ბოლოს, მივიდა ჩვენი პატრიოტი ერთ მალალ-ხარისხოვან პირთან, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ახლა პეტერბურღში და იმდენათ უყვარს საქართველო, რამდენათაც ძულს თავაშვერილი სისულელე. დაპირებია, ვეცეთები არ დაიქცეს კავკასიაო და ვენზელს მოგვართმევთ „კანვოიცებისთვისო“...

თქვენც მიხვდებით, ბატონებო, რა მოხდა ამის შემდეგ. გამოვიდა, თუ არა ქუჩაზე ზემოხსენებული პირის სახლიდან თავ-გამომეტებული მოციქული საქართველოს წარმატებისა, პეტერბურღმა ნახა ისეთი სურათი, რომლის მსგავსს კვლავ, რასაკვირველია, ვერ ნახავს. თელი „ზოოლოგიური ბაღი“ ერთ ხმათ ადიდებდა გმირის მოქმედებას და საქვეყნოთ

*) ვენზელი—ახლათ დაწესებული ნიშანია, მხრებზე დასაკერი, მიცვალებული იმპერატორის სახსოვრათ. ავტ.

ტაშს უკრავდა მისს ქცევას. რაც შეეხება პეტერბურლის საზოგადოებას, ამ ამბავმა ის ძლიერ შეაწუხა.—ვაი, თუო, მეუბნებოდენ ჩემი ნაცნობი რუსები, იმ პირს, რომელსაც თქვენმა დეპუტატებმა წარუდგინეს უცნაური თხოვნა, ცუდი ბოლო მოეღოსო?.. ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა.

ჯერ-ჯერობით, მადლობა ღმერთს, ბილიუტენები არსად ჩანს და, მაშასადამე, თქვენც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რო ზემოხსენებულ მაღალ ხარისხოვან პირს სიცილით არ განუტევებია სული. მადლობა ღმერთს, თორე, რალა ეშველებოდა რუსეთს... მარა გავაგძელოთ ამბავი.

ამის შემდეგ, „ლეპუნტატები„ მიეცენ ქეიფს და ნეტარებას!:. რათგანც ქართველი პოეტები პეტერბურლში არ არიან და არც ცალიათ მათთვის, მათ მოახერხეს იოლათ გამოსულიყვენ ამ მხრით, რომ ულექს-სიტყვაობოთ დღესასწაულობას შნო არ დაკლებოდა. ასწავლეს კავკასიიდან ჩამოყვანილ მოსამსახურეს შესაფერი ლექსები, წამოჯდენ არხეინათ დივნებზე, ააბოლეს ჩიბუხები და ყურს უგდებდენ ღირსეულათ დამსახურებულ შესხმას:

„გმირნო, მაშულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
„თქვენთა სახელთა დიდებით წარმოთქვამს ჩამოსაგდობა,
„თქვენთა საქმეთა მოთხრობით, მოხუცს ტრემლ მოედინება!

ასე ადიდებდა ახალ-გამომცხვარი პოეტი ბატონ „ლეპუნტატებს“, და საქმე საუცხოოთ მიდიოდა, რომ ერთი... შეთხვევა არა. ოთახში შემოვიდა მეორე „ჭკუის კოლოფი“ და გასაცვიფრებელი სიურცხვით მოახსენათ:

„რომ თხოულობდით მოწყალებას, ვინ გთხოვათ თქვენ? რაც შემეხება მე, არ მინდა ის ვენზელიო, თუ ჩვენ მარტო გვიბოძებენ, ლეკები და თათრები გამოტოვესო. ღმერთო! მომკალი და სული ამომახდინე!... ვის მიქვია. რას მიქვია, ამხანაგების ღალატობა და სხვა და სხვა.

არ შემიძლია აგიწეროთ, რა მოხდა, ამის შემდეგ! სამი ვეშაპი, რომლებზეც, „ლეპუნტატებმა“ კარგათ იციან, ქვეყანაა გაჩერებული, ერთად რო ჩაბარებოდა პატრონს და ერთბაშათ დაქცეულიყო ქვეყანა, ამისანა ჩაბ. ეჭდილებას ვერ მოახდენდა!...

—ლუკმა-ლუკმა, ის ცხონებული .მამა ნუ წამიწყტება, ლუკმა-ლუკმა აგკუწავ, კიდევ რო ხმა ამოიღო! შეხედე, ამ ყურუმსაღს, რას ამბობს: არ მინდაო! მა'შ, ტყუილათ შევაწუხეთ პატიოსანი ღენერალი, გავაკვირვეთ პეტერბურღიო დასხვა და სხვა...

—

სამწუხარო იყო ნაპოლეონ I-ის მდგომარეობა ვატერლოოს ომში, სასოწარკვეთლობითი იყო მისი ძმისწულის ყოფნა სედანთან. მარა არც ერთის გულში არ ყოფილა მისანა ცეცხლი, როგორიც ტრიალებდა ბ ნ ი ნ—ის მუნდრის ქვეშ.

უყავი ახლა შენ კეთილი ხალხს... ვინ დაგაფასებს, ვინ შეგნიშნავს... სამწუხაროა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ქვეყნის უმადურობა, ვიტყვი მეც, ჩემი მხრით.

—ახლა რით გათავდაო? მკითხავთ თქვენ.

არ ვიცი, ჭეშმარიტათ: იზამს მოწყალებას „ლეპუნტანცია“ და არ დალუპავს დაღესტანს, თუ გაუხსენებს მამა-პაპურ მტრობას და მოსპობს დედა-მიწის ზურგიდან,—ეს მომავალის წყვდიადშია დაფარული. შეიძლება, ასეც მოხდეს და ისეც! ყოველივე მოსალოდნელია!..

მე, ჩემი მხრით, მოგახსენებთ, დასასრულ, ერთს ახალ ამბავს, რომელსაც, რასაკვირველია, თქვენც შეხვდებოდით რუსულ გაზეთებში, და იმით დავაბოლოვებ ამ უიმისოთაც გაგძელებულ წერილს.

პეტერბურღის „დუმამ“ მოახდინა არა ჩვეულებრივი სხდომა და გადაწყვიტა: რათგანც კავკასიელი „ლეპუნტაცია“, პეტერბურლში მყოფობის დროს, სხვა-და-სხვა უფლებების და ქება დიდების მოპოებით დაიტვირთა, —დაინიშნოს ცალკე კომისია მცოდნე და გამოცთილის ინჯინრებისგან, შეუძლია თუ არა ნიკოლაევის რკინის გზას, მათ სამშობლოში დაბრუნების დროს, გაუძლოს ამ არა ჩვეულებრივ სიმძიმეს, თუ ექსტრაორდინარული ზომების მიღებაა საჭირო?

ეხუმრებით, ბატონებო! გზა რო დაიმტვრეს, ხო დავრჩით გაცალკევებული თელი რუსეთისგან! საწყენი ის არი. რო ნამეტნავათ ჯინიანი ხალხი არიან. რამდენი ვეხვეწეთ: დატოვეთ, ვაჟო, ნახევარი და, მერე, სხვა „პოეზდით“ გამოგიგზანით თქო, მარა, ჰა, არა ეშველათ-რა!

— შენ რა იცი, ბოშო, საშიშარია, დაიკარგებაო. პოლონელებიც აქ არიან: ვინ იცის, რა ხალხია! რო დაიხარბონ და მიითვისონ, მაშინ რაღა გვეშველებაო? მეუბნებოდა ერთი მათგანი.

მართალია, „თვალი კაცისა ხარბია“, მოგეხსენებათ.

ილია ბახტაძე.

პეტერბურგი. 19 მარტს. 1881 წ.

იმე!

იმე! რა ყოფილა ის ვინცხა ბახტაძეა, თუ გახტაძე? რავა „არა მკითხე მიანბესავით“ გამოხტა და წეიგძელა ენა! ბოშო! რო ტლიკინოფ, რას ტლიკინოფ? ვინ გკითხავს შენ „ბალი ათ შაურათ არიო“? ჩვენ ამორჩეულებს რო დაცინი, რავა ბედამ, შენ მაგას? მაგენი შენი ტოლები გგონია, თუ?!. შენისანა ღვლიპები ვაგლახათ სალამსაც ვერ უნდა უბედავდენ მაგენს!..

ჩვენ დეპუნტატებს დაცინის! . ღმერთო, კი მომკალი ახლა და სულიც ამომახდინე!.. მოდი და ნუ გასკდები, ზე კაკალ გულზე... დედა! დე...და! დე...და!.. რა უხიაგი დრო შამოვიდა, რო ღლაპებიც-კი ნახირში ერევიან...

ბოშო! შე ვუბედურო, მაქანე განა მიტო გაგაგზანეს, რო ქვეყნის საქმე ეძიეო?..

შენი საქმე ის არი, რო მაქანა ცოტა ისტავლო რამე, გაათაო შკოლა, მერე, ჩამოხვიდე ჩვენში და კაი ატუკანტობა იგდო ხელში, ან სუდია-პოპოშნიკობა და, მერე, ყვლიფო და ყვლიფო ხალხი... აპა, მაშინ გეტყვიან კაი ბიჭს, თვარა წაგიგდია ენა და ტლიკინობ გაზეთებში, რასაც არ გკითხავენ!.. ახი-კი იქნება თქვენზე, რო ჩვენმა დეპუნტანტებმა ასე ითხოვონ: „აქანაი ეს ბაღნები პლუტდებიან, მერე, ჩამოდიან ჩვენში, ქვეყანას აპლუტებენ: კალონსა და სიმართლეს თხოულობენ და მითი ხალხს აბრიყვებენ, აორგულებენ და მიიღეთ მოწყალება: როზგი მაგათ-თქო. და ნუღა დაგვიბრუნებთო!.. მაგათთანები სხვებიც წეიყვანეთ, მოაშორეთ ქვეყანასო!“

თქვენ ვერ შეიტყობდით, თვარა ეს ნათხოვი, იქნება, ასთე...

მისაკოსებელი ითხოვესო“, რომ უნბოფ, რა ვუყოთ, მერე? კაი უქნიათ! ქვეყანა მიკოსებ-მოკოსებით კეთდება! თქვენ, თუ არაფელი გაკოსიათ, მიტომაც ხართ გატვლეპილი და ცერამოგდებულები!

რაც საჭიროა ქვეყნისთვის, ახლა შენ უკვეთ იცი, ბოშო, მაგენზე?.. თქვენ არ ყოფილხართ ადრე, მარა ქვე გვითხოვია, რაც გვდომებია და რაც გვკლებია.

ნიკოლოზ ხემწიფე რო მობრძანდა, მაშინ გვიბძანა: შემატყობიეთ თქვენი გასაჭირი, მთხოვეთ და, რაც უნდა იყოს, შეგისრულებთო. და იცით, ჩეენ რა ვთხოვეთ? გურულებმა —მარილი და იმერლებმა —ბუკი და ქართლ-კახეთმა —დიღმის მიდორი, მუხრან-ბატონის საჩუქრათ!..

მასუკანაც ვინც-კი მობძანდება, ყველას ვთხოვთ ხოლმე... „ესე და ეს დამნაშავე“, ესე და ეს გაგზანილი ციმბირში, გამოუშვით, გვაპატივეთ, თვარა წახდა ქვეყანა-თქო! და ისინიც შეიწყნარებენ ხოლმე ჩვენ ვედრებას. აპა!..

რაც გვეჭირვება ჩვენ უკვეთ ვიცით აქ და თქვენ, ბაღნებო, მაქანეი ნუ წაგიგდიათ ენა, ნუ ტიტინობთ, თვარა, მე ვიცი, თქვენ კაი სიზმარს ვერ ნახავთ!..

ნეტეი, ახლა ამ აპრილში აქანეი იყო ქუთეისში. თავად-აზნაურობის კრებაა, ბანკის თავჯდომარეს ამოსარჩევათ და იქ რო გამოერეოდი, მაშინ გიჩვენებდენ შენ სეირს. ასე გაგხდიდენ, ასე, ასე, რო რიონიც ველარ გაგრეცხავდა, შე ვუბედურო, შენ!.. თუ ჭკუას გერჩის, ჩახვდი გონებაში და მეტს ნულარას

იტყვი, თვარა... თვარა... რომგი!

იმერელი.

P. S. აპა, ახირებული, თუ გინდა ახლა, ეს არი! ჩვენ ბიჭ-ბუჭებზე ვანბობდით და ახლა ქალებიც გამოხტენ.

ოუდერია ვინცხა დედაკაცს თავი, მოგვდგომია და „ანასუნ-ბაბასუნობით“ აღარ გვზოგავს!..ამისანა ურცხვობა იქნება... გაგონილა; შენი ჭირიმეთ, მანდილოსნისგან გაზეთებში თავის გამოტანა და ქვეყნის შედავება!.. დედა-კაცო, რათ ირჩევთ წინამძღომლებსო, რო გვეკითხები, თუ შენ გონიერი იყო, თითვან გეცოდინება! არ იცი,რომ ეს სიტყვა „წინამძღომელი“ ორი ლექსისგან არი გადაბმულათ შემდგარი: „წინა“ და „მძღომელი“, ე. ი., ვინც წინ-და-წინ გაიძღებს და ისინიც, ამორჩევის დროს, წინათ სადილებს გვიკეთებენ ამომრჩეველებს, გვაძღებენ და მიტო ვაძლევთ წინა-მძღომლობას!.. აპა, თქვენ რო გვითითებთ, იმათთანები რომ ამოვირჩიოთ, ქვე არ დავწყდით შიმშილით!.. იმათ, რო თითვან არა აქვთ-რა საჭმელი, ჩვენ რავა გაგვაძღებენ?.. და ამ ქვეყანაში გაძღომაა პირველი საქმე... ქრისტე მეუფემ, ვენაცვალე მის ძღიერებას, ვინ იცის, რამდენი სხვა და სხვა სასტაული ქნა. მარა ბევრს არ ეჯერა, სანამდი ხუთი ათასი არ გააძღო და მაშინ-კი ყველამ იწამა...არ გაგიგონიათ:

მშიერი კუჭი ჭუჭეუნობს,
ჭკუა-გონებას წუნობსო,
მაძღარი რომ აბოიანებს —
ის გულთან ქალაჩუნობსო!..

მარა, ბევრი რა გელაპარიკო, შენ!.. ქალი ხარ და ქარი!..

იმერელი.

დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ თქვენ სტატიას, ბ. იმერელო!.. მართალსა ბძანებთ, თქვენმა სიცოცხლემ. მხოლოთ ამორჩევის ნიჭსა და გონებას ტყვილათ აწერთ თქვენ, საზოგადოთ, ჩვენ ხალხს... წინამძღომელებს და ლეპუნტატებს ჩვენი ჩინოსნები ირჩევენ და არა ხალხი. ხალხს ვინ მიცა იმდენი ჭკუა-შეცთებოდა...

აგაგი.

ქართული ფრესკები.

ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა ჯერ კიდევ არ გაცილებია პირველ საფეხურს. შესასწავლი მასალა თვალ-უწვდენელია, მის შეგროვებას და დალაგებას თელი თაობის შეუჩერებელი შრომა ჭირდება. ჯერ-ჯერობით-კი ამ სფეროში ორიოდე უანგარო და თავგამოდებული ადამიანი მუშაობს. გასაკვირალი არ არი, რო მათი გამოცთილება ვიწროთ შემოფარგლულია და მათი თვალთსაზრისი არ ასულა ზოგადი იდეების სიმაღლეზე, საიდანც შეიძლებოდა, ქართული ხელოვნების ევოლიუციის დანახვა, ან კიდევ მისი ესთეტიური დაფასება.

მართალია, ჩვენში უცხოელნი მკვლევარნიც მოდიოდენ. მარა მათ ბევრი რამ აკლდათ ჩვენი ნაშთების შესაგნებათ. ჩვენ ძველ ისტორიას ნაკლებ იცნობდენ, ძველი წარწერების წაკითხვა დიდათ უჭირდათ. თანამედროე ქართველობაში-კი ნაკლებ კულტურასან ხალხს ხედავდენ. მათი ცნობისმოყვარობა გულგრილი და შეუშფოთებელი იყო და ქართული ხელოვნების ძეგლს ხშირათ ისე უცქეროდენ, როგორც ანატომები ცხედარს უცქერიან. მათ არ შეეძლოთ ხელახლა განეცადათ ის მდულარება სულისა, რომელიც ჩვენ ძველს ოსტატებს ამოძრავებდათ.

ძლიერ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ უცხოელი მკვლევარები, საერთოდ, ამცირებდენ ქართველი ხელოვნების თავისებურობას. კარგათ იცოდენ, რო საქართველო ერთ დროს ბიზანტიის კულტურულ წრეში შედიოდა; ქართული ხუროთმოძღვრებისა, მხატვრობისა, თუ ოქრომჭედლების დაფასებაში ამ წინასწარ შეძენილი ცოდნით ხელმძღვანელობდენ. ჩვენი ესთეტიური შემოქმედობის ინდივიდუალურ თვისებებს ნაკლებ უწევდენ ანგარიშს.

— უცოდლებელია, რო საქართველომ პირველ ქრისტეანულ საუკუნეებში, მართლაც, განიცადა ბიზანტიის სულიერი და ნივთიერი კულტურის გავლენა. ამ გარემოებაში არაფერია დამამცირებელი. ყველა ნიჭიერი ხალხი თვალღია და გულგაშლილია და უცხო იდეებსა, თუ

ფორმალურ ღირებულებებს ადვილათ ითვისებს; ეროვნული გენიოსობის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნასესხებ ელემენტებს თავისებურათ აერთებს და განუმეორებელ სინტეზს ქმნის.

ქართულ ეროვნებაზე გავლენა იქონია არა მარტო ბიზანტიამ, არამედ სირიამ და სპარსეთმაც. ადვილი შესაძლებელია, რო ზოგიერთი არქიტექტურული და მხატვრული ელემენტი ჩვენში დასავლეთ ევროპელმა ჯვაროსნებმა, გენუელმა სოვდაგრებმა, ან კათოლიკე მისიონერებმაც შემოიტანეს. მარა ეს უცხო გავლენა, იმდენათ ძლიერი არ ყოფილა, რომ ეროვნული თავისებურობა მოესპო, ან დაეჩდილა.

ეს, გასაკუთრებით, ქართული ფრესკების შესახებ ითქმის. სიტყვა-კაზმული მწერლობის გარეშე, არც ერთს ესთეტიურს დარგში არ გამოუჩენია ქართველ ხალხს ისეთი ორგინალობა, როგორიც კედლის მხატვრობაში გამოიჩინა. ამ მხრით, ჩვენ სამშობლოს მხოლოთ იტალია ჭარბობს. მარა იტალიაში ფრესკების ხატვამ მხოლოთ ჩამაბუეს და ჯიოტტოს სკოლის შემწეობით მოიპოვა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, გავითარების უმაღლეს წერტილს-კი მიქელ-ანჯელოსა და რაფაელის შემწეობით მიაღწია. ეს დიდი იტალიელი ოსტატები მეთოთხმეტე და მეთუთხმეტე საუკუნეში ცხოვრობდენ. ჩვენ-კი მოგვეპოვება თარიღიანი კედლის მხატვრობა, რომელიც მეცხრე საუკუნის შვაწლებს ეკუთვნის და საფიქრებელია, რო ზოგიერთი უთარიღო ქართული ფრესკი კიდევ უფრო ძველდროშია შესრულებული.

საქართველოს მოსაზღვრე ქრისტეანულ ქვეყნებსა, ბიზანტიასა და სომხეთში, ფრესკების ხატვა არ იყო გავითარებული. სომხებს თვით სირწმუნოებრივი კანონი უკრძალავდა საეკლესიო კედლების დახატვას. ბიზანტიაში თავდაპირველათ რელიგიური მხატვრობა აკძალული არ ყოფილა. მარა ბიზანტიური ხელოვნება ყოველთვის უფრო განყენებისა, თუ მონუმენტალობისკენ იყო მიმართული და სოფიის კენჭს, ან მოზაიკას უპირატესობა ეძლეოდა ფრესკების წინაშე. იუსტინიანეს დროის დიდი ტაძრები რავენასა, კონსტანტინეპოლსა და თესალონიკში სოფიის კენჭითაა მოხატული. შემდეგ, მერვე და მეცხრე საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში ხატთა მებძოლმა სეკტამ გაიმარჯვა და საეკლესიო მხატვრობის გავითარება შეაჩერა. მარა მეათე და მათერთმეტე საუკუნეში, მაკედონელი დინასტიისა და კომნენების დროს, ხელახლა ჩარჩოიანი ხატებისა და სოფიის კენჭის ტეხნიკა აღორძინდა. ფრესკების ხატვა არც პალეოლოგების დროს ყოფილა დიდ პატივისცემაში. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რო ძველი ბიზანტიის ტერიტორიაზე არ მოიპოვება არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ფრესკების სიმდიდრით ჩვენ ბეთანიას, ზარზმას, გარეჯას, გელათს, ან ტიმოთეს უბანს შეედრებოდეს. სამაგიეროთ, ჩვენი ქვეყანა მოზაიკის, ან სოფიის კენჭის მხატვრობითაა ღარიბი. ცნობილია მხოლოთ ორი მოზაიკა: წრომის ტაძრისა და გელათის მონასტრისა. ორივე წმინდა ბიზანტური სულითაა გამჭვალული.

მარა ჩვენი კედლის მხატვრობა ბიზანტურს ჭარბობს არა მარტო რაოდენობით, არამედ ესთეტიური ღირსებითაც. ბიზანტიელი ოსტატები უწინარეს ყოვლისა მოზაისტები იყვენ და მათ თითებს აღარ ეხერხებოდა ყალმის თავისუფალი მოსმა. მათი მხატვრული კომპოზიცია, საერთოდ, უნაკლულო იყო. მარა ამასთან ერთად, მოსაწყენი და ერთფეროვანიც, მიტო რო მკაცრ სიმეტრიაზე იყო დაფუძნებული. ფიგურებს მოძრაობა აკლდათ, სახეებს მეტყველება. ყოველი დამიხასიათებელი დეტალი უარყოფილი იყო საერთო ჩაბეჭდილების გულისთვის, საერთო ჩაბეჭდილება-კი ზვიადი და დღესასწაულებრივი იყო. მხატვრობ ს უკანა პლანზე არ იხმარებოდა არც პეიზაჟის, არც არქიტექტურის ელემენტები, გაერთიანებულ ოქროსფერ ფონს-კი მიუწდომელ იდეალურ სფეროში გადაქონდა ფიგურები და სცენები.

ჩვენმა ალერსიანმა მზემ და ჩვენმა ცხოველმა ტემპერამენტმა გაადნო ბიზანტური ასკეტიზმი და ბიზანტურ გაშეშებულ სხეულსა და დაღრეჯილ სახეს მოქნილობა და ჭერმე-

ტყველობა მიცა. წმიდანები მომაკვდავებს დაუახლოვდენ და ადამიანურათ გასაგები გახდენ. ამ მხრით, გასაკუთრებით, ბეთანიის კედლის მხატვრობაა საყურათღებო. ქართული ქრისტეანული ხელოვნების რეალიზმმა ამ ფრესკებში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ეს იმდენათ გიორგი მესამისა, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის პორტრეთებში არა ჩანს, რავდენათაც წმიდანების ფიგურებში, რომელნიც ტაძრის საკურთხეველში არიან მოთავსებულნი. როგორც ჩანს, მეფეების გამოსახვაში ოსტატის თავისუფლება შებოჭილი ყოფილა: მას ბძანებლები ისე დაუხატავს, როგორც ამას კარის ეთიკეტი და ჩვეულება მოითხოვდა. სიმაგიეროთ, მის დაკვირვების ნიჭს, ფანტაზიას და კომპოზიციის ცოდნას ლაღათ ფთა გაუშლია რელიგიური სიუჟეტებისა და წმიდანების გადმოცემაში. და მას შეუქნია თორმეტი წინასწარმეტყველი, თორმეტი მოციქული და თორმეტი საეკლესიო მამა, რომელნიც სწორეთ რო ღირსნი არიან გვერდში ამოუდგენ იტალიური რენესანსის საუკეთესო ქმნილებებს.

დამახასიათებელია ბეთანიის ფიგურების ბუნებრივი მოძრაობა, ფსიქოლოგიური სხვა-დასხვაობა, მდიდარ ნაოჭებიანი ტანთ-ჩაცმულობა. მარა ყველაზე დამახასიათებელი მათი სხეულის რელიეფია. საშვალ საუკუნეების მხატვრებს, საზოგადოთ, უჭირდათ სხეულის კუნთების გადმოცემა და მათი ფიგურები, უმეტეს შემთხვევაში, ბტყელ ფირფიტებს წააგავდენ. ბეთანიის ოსტატი, ამ მხრით, გაცილებია თავის ბიზანტიელ და დასავლეთ ევროპელ თანამედროეებს და კლასიკური ხელოვნების ტრადიციები აღუდგენია. მას ქონია არა ჩვეულებრივი ანატომიური ცოდნა ადამიანური სხეულისა. ახლო დაკვირვებამ, უცილობლათ, დაამტკიცა, რო მას ჯერ ტიტველი მოდელის ესკიზი გაუკეთებია და, შემდეგ, სამოსელით დაუფარავს. ამიტო ნაოჭებში, როგორც სველ ტილოში, ნათლად მოჩანს სხეულის ნაკვთები და კონტურები.

ქართველი ფრესკების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა პირდაპირ განუზომელია. მათში წარსულ საუკუნეთა სულია განივთებული. მკვდარი ისტორია ცოცხლდება, ეროვნულ გმირების სახელები კარგავენ განყენებულ ხასიათს და ხელშესახებ სინამდვილეთ ხდებიან. რა იქნებოდა ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელის, თამარ მეფის, ლაშა გიორგის, ან ათაბეგების მშრალი მატიანე—ისტორიული ფრესკები რომ არ შეგვჩენოდა? ბეთანიის, ზარზმის, საფარის, ჭულების და გელათის ოსტატებს უნდა ვუმადლოდეთ დღეინდელი ქართველები, რო ჩვენი ისტორიის ფურცლები შეუდარებელი ილუსტრაციებითაა გაცხოველებული.

მარა დღეინდელი ქართველები უმადური ხალხი ვართ და აგრე რიგათ აღარ ვაფასებთ წარსულ საუკუნეების ღვაწლს. ამით აიხსნება, რო ჩვენი ძვირფასი ფრესკები დღეს ასეთ უმწეო და სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. დიდი წილი კიდეც დაიღუპა სამუდამოთ. ტეხვრამ და ხორშაკმა გაანადგურა ძველი ქართული ტაძრები და მათი კედლების მხატვრობა წვიმამ და თოულმა ჩამორეცხა. დანარჩენი დღეს ისპობა ჩვენ თვალწინ. და ეს ჩვეულებრივ აღარ იწვევს გულის ტკივილსა და მწუხარებას.

მარა ეს სახიფათო გულგრილობა ბოლო დროს ახლათ დაარსებულმა ქართველ ხელოვნთა საზოგადოებამ შეარყია. ეს საზოგადოება უწინარეს ყოვლისა, იმ ნაშთების გადმოღებას შეუდგა, რომელთაც მეტი საფთხე მოელის ახლო მომავალში. საბოლოო მიზანი-კი ის არი, რომ არსებული საეკლესიო მხატვრობის ასლთა სრული კოლექცია შედგეს. თუ საზოგადოებამ ამ მიზანს მიაღწინა, ის ორმაგს სამსახურს გაუწევს ქართულ ერონულ კულტურას. ჩვენ დაჩლუნგებულს ესთეტიურ გემოვნებას გაფაქიზებს, ჩვენს ისტორიულ კვლევა-ძიებას-კი დაუფასებელ ნივთიერ საბუთებს შემატებს.

დიდათ გამამხნევებელია პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ გადადგა. ქართული ფრესკების გამოფენამ „დიდების ტაძარში“ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა იმთავითვე და, რაც დრო გადის, მით

უფრო ცხოველდება ხალხის ინტერესი. საფიქრებელია, რო ვამოფენის გახსნის დღე მნიშვნელოვან თარიღათ დარჩება ჩვენი ესთეტიური კულტურის განახლების ისტორიაში.

„დიდების ტაძარში“ გამოფენილია ერთი მცირედი ნაწილი ქართული ფრესკებისა. უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ დავიწყებულ ტაძრებში თვლემს და ქართველი მხატვრის მოსიყვარულე ხელის შეხებას ელის. მარა გამოფენა დაახლოვებით წარმოდგენას მაინც იძლევა ჩვენი ძველი საეკლესიო მხატვრობის სიმდიდრეზე. თავისთავად ცხადია, რო მუზეუმში გამოფენილ ასლს არ შეუძლია ორიგინალის მაგივრობა გაწიოს. ფრესკი შენობის შინაგანი სამკაულია. ის შეფარდებულია კედელსა, სვეტსა, თაღსა, გუმბათის ცას, ან იალქანთან და თელი არქიტექტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ ფრესკის გამოთიშვა და ცალკე გამოფენა რამდენიმეთ ცოცხალი სხეულის გაჩეხას უდრის, ამისდამიუხედავათ, „დიდების ტაძრის“ გამოფენა მაინც დიად ჩაბეჭდილებას ქმნის, იმდენათ ძლიერი და სულ-ჩადგმულია თითოული მხატვრული მინაში.

გამოფენის მნახველის ყურათღებას უწინარეს ყოვლისა დიდი ისტორიული ფრესკი იპყრობს, რომელზეც სამცხის ათაბეგებია გამოხატული (№ 6 გამოფენისა). ეს მხატვრობა ნამდვილ შედევრს წარმოადგენს, კომპოზიციისა და კოლორიტის მხრით. საერთოდ, ნელთფილი ტონები ჭარობს: იის-ფერი, ყავის ფერი, მოწითალო, მოყვითალო. ამასგარდა, ეს ფრესკი იმით არი საყურათღებო, რო ჩამომავლობას მისი ოსტატის სახელიც შერჩა. ეს შესრულებულია 1381 წელს, არსენი თფილელის მიერ, რომელსაც ეკლესიის ერთს ადგილას შემდეგი წარწერა გაუკეთებია: „შეწევნითა ღვთისათა და წმიდისა გიორგი ჭულაისითა სრულ იქმნა ესე ეკლესია ჭულისა ხატებითა მხატვრისა არსენი თფილელისა“. ეს მეტის მეტათ იშვიათი ისტორიული დოკუმენტია. ცნობილია, რო ძველი ოსტატები ამ ქვეყნიურ დიდებას ნაკლებ მიდევდენ და თავიანთ ნაწარმოებს, უმეტეს შემთხვევაში, ხელმოუწერელათ ტოვებდენ. ქართველები კიდევ უფრო მორცხვნი იყვენ, ვიდრე სხვა ერების წარმომადგენელები: იმ აზრს ადგენ, რო „ბძნად მეტყველება ვეცხლი არს წმინდა, ხოლო დუმილი ოქრო რჩეული“. ამიტომ დღეს, უმეტეს შემთხვევაში, აღარ ვიცით, ვინ ააგო ჩვენი ტაძრები და ვინ მოხატა მათი კედლები.

საფარის ტაძრის ფრესკი (№ 7) უფრო ფსიქოლოგიური შინაარსითაა შესანიშნავი. ის იმავე სამცხის პატრონებს წარმოადგენს, ახალგაზდა შალვას გამოკლებით. მათ სახეებში მეტი ინდივიდუალური სხვადასხვაობაა შეტანილი და მათი ფიგურები ღირსებასა და კეთილშობილებას ხატავენ. მაყურებელი გძნობს, რო მის წინ ძლიერი ეპოქის შვილები დგანან.

ეს არ შეიძლება ითქვას ნაყურალეშის ეკლესიის ფრესკების შესახებ (№№ 41,42), სადაც გადადიანებული ჩიქოვანებია მოთავსებული. სამთავრო წამოსასხამში ვულგარული ადამიანებია გახვეული. თვით მხატვრული წერის ტეხნიკა ლტანქი და უსუსურია: ნათლად ჩანს, რო მეჩვიდმეტე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სულიერი კულტურა საკმაოთ დაბალ ნიადაგზე მდგარა. საეროოთ, ნაყურალეშის ფრესკები საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს არქანჯელო ლამბერტისა და შარდენის ნაწერებისთვის, სადაც კოლხეთის იმ დროინდელი ცხოვრებაა აღწერილი.

ბეთანიის ტაძრის ფრესკებიდან, თამარ მეფის ცნობილ პორტრეტს გარდა (№ 1), ორი საუკეთო მინაშია გამოფენილი. ერთი განკითხვის დღის სურათს წარმოადგენს და დიდათ საყურათღებოა საშვალ საუკუნებრივი ფანტაზიის დასახასიათებლათ (№ 3). მითიური და რეალური ცხოველები პირიდან შეჩვენებული ადამიანების ასოებს ყრიან. მარა ჩანს, რო თვით ავტორი ნაკლებ აღელვებული უნდა ყოფილიყო ამ ხილვით: მისი კომპოზიცია, საერთოდ, ნაკლებ შემაძრწუნებელია, ვიდრე იმდროინდელი იტალიელი და ფლამანდიელი ოსტატებისა. ბევრათ უფრო მნიშვნელოვანია ბეთანიის ტაძრის მეორე ფრესკი, სადაც წმ. ზოსიმე მარიამ ეგვიპტელს აზიარებს. დიდი ქრისტეანული მისტერია შეუდარებლათ არი

გადმოცემული; წმ. ზოსიმეს სახე მოყვასის სიბრალულს ხატავს, მარიამ ეგვიპტელისა-კი უსაზღვრო სასოებას. და მათ გვერდზე იესოს უმოძრაო ფიგურა დგას, რომლის სიახლოვეს მოქმედნი პირნი, თითქო გძნობენ, თუმცა ვერ ხედვენ.

ყველაზე სრულათ გამოფენაში ნაბახტევის ეკლესიის ფრესკებია წარმოდგენილი. ეს ფრესკები ნათლად მოწმობენ, თუ როგორ თავისუფლათ ეპყრობოდენ ჩვენი ოსტატები საერთო ქრისტეანულ სიუჟეტებს, რამდენი თავისებურობა შექონდათ მათ ტრადიციული იდეების გამოხატვაში. ქრისტე ემმანუელი ნაღვლიანი, უწვერულვაშო, ჭაბუკის სახითაა გამოხატული (№ 16). წმ. გიორგი ტრადიციული, შუბის მაგივრათ, ხმლით ჩეხავს გველეშაპს (№ 12); სერობის ტაბლაზე ხახვისა და ბოლოკის თავებია გაბნეული (№ 24). მეფე ალექსანდრესი, ქუცნა ამირეჯიბისა და მათი ოჯახის ფრესკები (№№ 10, 11, 12), უფრო ქართული ტანთსაცმელის ისტორიისთვის არი საყურათღებო. თვით ქუცნა ამირეჯიბის თავი ნატურალური სიცხოველით არი გადმოცემული მარა საეჭვოა, რომ ის სწორი იყოს. უფრო საფიქრებელია, რო პირვანდელი სახე წაშლილა და უთავოდ დარჩენილი სხეული რომელიმე მხატვარს შემდეგ საუკუნეებში შეუკეთებია.

ნაბახტევის ფრესკებს შორის, ღვთის მშობლის ხატი უბადლო მინუშათ შეიძლება ჩაითვალოს (№ 18). ეს ნაწარმოები ძლიერ დაზიანებულია: აღარ ჩანს არც შუბლი, არც თვალები. მარა მხატვრული ჩაგონება იმდენათ ძლიერია, რო მაყურებელის ფანტაზია ძალდაუტანებლათ ამთავრებს, რაც ამ ღვთაებრივ თავს აკლია. ასკეტური იდეალი უარყოფილია. ქალწულის ნიკაპი და ბაგეები მისტიური გძნელულებითაა გამთბარი, ღაწვებზე-კი მიუწვდომელი მწვანე ფერი კრთის, რაიცა ამ საუცხოო ქმნილებას თანამედროე ფრანგი იმპრესიონისტების ნაწარმოებებს უახლოვებს.

ანალოგიურ ჩაბეჭდილებას იწვევს ქვათახევის ღვთისმშობლის ფოტოგრაფია, რომელიც ერთ-ერთს ვიტრინაშია გამოფენილი. ივერიის უზენაესი პატრონის სახე ქალური სინაზითა და სიკეკლუცითაა აღსავსე, მისი არსება ადამიანურათ მომხიბლავი და მიმზიდველია: ეს უფრო ლეონარდოს ჯიოკონდას ტყუპს წააგავს, ვიდრე სამონასტრო ხელოვნების უსისხლხორცო წმიდანს.

როგორც ჩანს, ძველი ქართველი მხატვრის ბუნებაში ხშირათ იღვიძებდა წარმართულ დროის მოგონებანი. ჩვენი ტაძრების კედლები ხშირათ საერო და საჟანრო მხატვრობითაა დაფარული. ალაგ-ალაგ ახალგაზდა ქალების პროცესიაა მოთავსებული, ალაგ ალაგ დევებისა და ადამიანების შებმა; სამეგრელოს ერთს ეკლესიაში ტაფით აღჭურვილი მზარეულიც-კი არი გამოხატული. „დიდების ტაძრის“ გამოფენაში ამ ხასიათის მხატვრობა სვეტიცხოვლის კედლიდან გადმოღებული „სამაია“ წარმოადგენს (№ 31), სადაც გრაციული მოცეკვავე ქალების ჯგუფი დიდი ხელონებით არი განაწილებული.

მარა მარტო ფრესკების ასლებით არ ამოიწურება ამ შესანიშნავი გამოფენის შინაარსი. ვიტრინებში ფრესკების ფოტოგრაფიები და წიგნების ილუსტრაციებია გამოფენილი. ამ უკანასკნელთ შორის გასაკუთრებულ ყურათღებას მარტვილის და ვანის სახარების ილუსტრაციები იპყრობს (№ № 72 და 85). პირველი კეთილშობილი კლასიკური სტილითაა დახატული, მეორე-კი ფანტაზიის არაჩვეულებრივ სიმდიდრესა და მრავალფერადობას ააშკარავებს: ჩუქურთმიან კამარებს სიმბოლიური ცხოველები ახვევია. აქ დათვები ადამიანებს ესაუბრებიან, მონადირეები ლომებს აღჩობენ; მონები აქლემებს მიდევენ, ჯამბაზები ხეებზე მიცოცვენ; კამარის სვეტებს-კი თავისებური კარიატიდები იჭერენ. გულუბრყვილობა და სიბძნე ერთად არი შეერთებული, ეს ორი აუცილებელი ნიჭი ყოველი დიდი, მირონცხებული ოსტატისა.

გერონტი ქიქოძე.

ჩემი ბრალია, ჩემი.

(მოთხრობა)

—აქ ყოფილა შვენიერება, აქ, ჩემო სანდრო! არა მჯერა, თითქო რამდენიმე დღე ეკეთებიოს ქვეყნიერობის შემქნელ ძალას ეს შვენიერი ბუნება, არე-მიდამო და ყოველივე. არა, ამას დიდი ხანი აკეთებდა, ალბათ, აკეთებს ახლაც და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ნელი ხმით უთხრა თინამ სანდროს, როცა ეს უკანასკნელნი, თითქმის დაღლილნი, ჩამოჯდენ რიონის მარჯვენა მხრით, ქვის სატეხის თავზე, ოდესმე ბაგრატის ტაძრის ეზო-გარემოს დასაცველათ შემოვლებულ ზღუდე-ნანგრევებზე.

— დააკვირდი, რა კარგათა ჩანს აქიდან გაშლილი ქალაქის მომეტებული ნაწილი. რა საუცხოო სურათებს იძლევა გელათის მიდამოები და თლად ირგვლივ შდებარე არე-მარენი. იფ!.. კარგია აქ საღამო, კარგია დილაც და სიცოცხლეც, მარა სიკვდილიც...

—შენ მართალს ამბობ, თინა... კარგია სიცოცხლე, მარა სიკვდილი-კი არა. სიცოცხლე კარგია, ის მუდმივი უნდა იყოს. ჰო, შენ მართლს ამბობ, მართალს და, რა-კი წარმავალია ადამიანის ყოფნა, ამიტომაცაა, რომ ასე გატაცებით გვიყვარს ეს სიცოცხლე და სილამაზეც. ყოველივე აქაური მაგონებს სოფელს, სოფლის სიცოცხლეს და მიყვარს ყველა ეს, მიყვარს და ამ სიყვარულს მიასკეცებს ათასი მოგონებანი ჩემი ბავშობისა: ამასავით ლამაზია ჩეჩი სოფელიც, ვით ეს მიდამონი, ქალაქს რო თვალი მოარიდო. მართალია, აქ ამ არე-მარეს რიონი ჩამოუდის და ჩემ სოფელს არა, მარა, სამაგიეროთ, ცხენის წყალიც ბევრ რასმე უდუდუნებს ჩემი სოფლის მიდამოებს. თვალ წინ მიდგას ჩემი ბავშობის ხანა და მაშინდელი სურათები, სადაც მე თვალები გავახილე და პირველათ დავინახე ის არე მიდამონიც ისე, ვით ყველა ეს. ჰო, მიყვარს ყველა ეს, მარა აწი-კი არ ვიცი, რა იქნება ჩემთვის; რას მომიტანს მომავალი, მე ამის წარმოდგენა არ შემიძლია და ვაი, თუ ჩემი სიყვარული ამ არე-მარესთან, ჩემი სიყრმის მეგობარ-მთებსა და მათ ცრემლებ-ნაკადულებთან არც იქნეს ხან-გძლივი...

—და მიზეზი! ალბათ, ბავშური ოცნება ან იქნებ ბუნების შვენიერება, ან მისი სიდიადის ვერ ამოცნობაა, რომელიც ხშირათ და უპატიჯებლათაც ჩაიჭრება ხოლმე ადამიანის გულში და არა ხმა მაღალი ყვირილით, არამედ ჩუმი, შეუჩნეველი ექსტაზით გადაეცემა, აგძნობიებს თვის მუდმივ არსებობას და ადამიანთა არა რაობას, რომელსაც კაცის აზროვნობა ვერც გამოარკვევს და აქ ბძოლაში დამარცხებული სრულ პესიმისტურ მდგომარეობაში ვარდება.

—მიზეზი კიდევ სხვაა, სხვა და მიუხვედრელობა ქალის ჯინიანობის ნაყოფია...

ორი არსების ასეთ ულითად ლაპარაკს ყურს უგდებდა ხომლის მთიდან მოსისინე ნიავი და ძირს რიონი-ეს ცრემლები დიადი კავკასიონის მთებისა, რომელიც შუპოვრათ მიღელავდა და ლამაზ ნაპირებს გადაცემდა მთებიდან და სოფლებიდან წამოღებულ ამბებს. ირგვლივ-კი, მდიდარი მიდმო არე-მარენიც ლამაზათ იხატებოდენ მის ალღებში, თითქო რაღაცას აბარებენ კოლხეთიანათ. მაღლიდან, დიადი ბაგრატის ტაძრის ზღუდენი, საიდუმლო დანაბარებით, თვისი კედლების ნაწილებს, წვრილ წვრილათ ატანდა ძველ ისაიდუმლე მეგობარს, თინას ხელიდან გასროლლს.

—ნუ დაანგრევ, თინ. ნუ! ეს ყრუა, მუნჯი, მარა ბევრის მნახველი-კი აქ მუდმივათ ენთო ჩვენი ქვეყნის კულტურს ლამპარი... ბევრი საუკეთესო შვილი აზია აქ ჩვენ ქვეყანას. აქიდან ეფინებოდა სინათლე და მადლი ჩვენ მხარეს და ახლა, როცა ბცარცული მრავალწელთა განმავლობაში ადამანის ბორტი ხელით, როცა ჯერ კიდე სრულიად არ აღგვილა იგი, ვალდებული ვართ, პატივი მოვეპყროთ ასეთ დიად ნაშთებს.

—შენ მართალს ამბობ სანდრო, მართალს. მარა მე-კი, თუ მინდა ოვსპო ეს ნაშთი, თუ-კი მინდა გავანადგურო ყოველივე... აი, თუნდ შენც, რო გადაგროლო აქიდან, აი, იმ უფსკრულში, ძირს, ო შავი ტალღა ტრიალობს, განა ამისი ულება არ უნდა მქონდეს? აკი შენ თავისულებისთვის იბძოდი: ადამიანის ნება-უფლას უნდა ემორჩილებოდეს ყოველივეო—იძახოდი შენ...

—კი, მართალია, მარა დამიანის მოქმედება უნდა იყოს შეფარდებული ცხოვრების პირობებთან, ჩემო თინა. ადამიანთა ოცნება

ოცნებათვე, მიუწდომელი რჩება. ეს შორეული საკითხია და, დეე, ჩვენ შორის ეს საკითხათვე დარჩეს. მე არ მინდა იმაზე ვიფიქრო, რაც ბევრ დროს დამარკარგვიებს. ახლა სულ სხვა მინდა, სხვა. მინდა გავიგონო სხვა სიტყვა, რომელსაც მე სიცოცხლეს შემძენს; ძალ ღონეს გამიასკეცეს და დამავიწყებს წარსულ ამაოებას; გამიასკეცებს ემ რწმენას და კვლავ გადამქნის გმირათ.

—კაცები სულდაბლნი ხართ, სანდრო, ძლიერ სულდაბალნი. მე მინდა გავიგო ძალა და ნება ადამიანსა და შენ-კი გინდა რაღაცა სიტყვა გაიგონო, სიტყვა, რომელიც, ვითომდა შენ გადაგაკეთებს, შეგძენს ძალას უძლეველს... დარწმუნდი, თუ შენში იგი აღარ არსებობს, ანდა ოდესმე-კი განიცადა რყევა; იმის აღდგენა ძნელია და მეორე პირი აქ სათამაშო ტიკინა იქნება, ან ისიც არა. აი, შენ დღეს ისევ ახალ ადზდა კაცი ხარ, ახალ-გაზდა, მარა ბევრის მნახველი-მომსწრე და გამოგიცთია კიდეც ყველივე შენ თავზე და, თუ ახლა გარკვეულიგზა არ გაქვს, თუ შენ დაგძლია ასე ცოტახის განმავლობაშიაც ცხოვრების ამაოებამ, ალათ, ვერ მიმხდარხარ ადამიანის დანიშნულებს: იმას, თუ რისთვის მოგიწოდა შენ ცხოვრებამ, რამოვალეც ხარ შენ, შენწილიხვვედრზე ეა, თუ გძნობ, ალბათ, ხელს აფარებ ამ იარებს, იქნებ, შენდა უნებურათაც...

—ქალის გული ქვა არი, გძნობიერი, მარა უთქმი. გაიფიერა სანდრომ. იმან თავი შეურაცყოფილათ იცნო. მარა თინას არა უთხრა-რა და, თითქო რაღაცას ეძებსო, ირგვლივ დაკვირვებით მიმოავლო თვალი.

კარგა დიდი დრო იყო გადასული. სავსე თვარე ნელ-ნელა, „ვეფურათ“ მიცურავდა ცის ტატნობზე. მისი ლხვი სინათლე ყოველივე წვრიმალსაც-კი ოქროსავით აფერადებდა. საუ ცხოო დიდებულ სურათს წარმოადგენდა ამ დროს ბაგრატის ნაგრეგები და ირგვლივ მინგრეულ-მონგრეული მის ნაშთთა ნაწილები. აქ სრული სიჩუმე და მდუმარება მეფობდა, ხოლო თვალს აქა-იქ რაღაც ლანდები წარმოუდგებოდა წინ, რაც აფიქრებიებდა კაცს, თითქო ვიღაც დადიოდა, ვიღაც ათვალიერებდა რაღაცას და თითოულ მათგანს კიდეც შინჯავდა ცალკე-ცალკე. დაწმენდილი ცა სარკე იყო ამდროს მისი მრავალ წლის არემიდამოსი, ხოლო გელათის ტაძარი, რომელიც ახლაც, ამ თვარის სინათლეზე ისევ გარკვეულათ ჩანდა, მესაიდუმლე და მოზიარე მისი ძმა მეგობრის, აწ უკვე განადგურებული ბაგრატის ტაძრისა.

—აი, ხალხი, საქმის ხალხი! ადამიანთა ხელს, იმდენი რამე უკეთებია წარსულში, რო მისი არსებობა კვლავ ხანგძლივი იქნება მომავალშიაც. აი, ეს გვირაბიც... მართალია, სანდრო, თითქოს ეს ცივი, ყინულივით წყაროს წყალი, სპეტაკია ვით ცის გული, ქართველ ქალთა ცრემლები იყოს დედა-მიწის ზედა ნაპირზე დანთხეული და აქ-კი ყინვასავით ცივ ნაკადულათ გამოქცხდეს.....

სანდრო, ამ დროს, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, მისი ყურათღება და ოცნება სულ სხვაგან იყო გადაფრენილი, მას წუთით კიდეც მივიწყებოდა ქვეყნიური ამაოება. მარა, მოულოდნელმა საკითხმა გამოარკვია-გამოაფხიზლა მისი გძნობა-გონება და ის კვლავ შეახვერდა იმ საბედისწერო გზას, საითაც მისი ფიქრები, მიილტვოდა ამ რამდენიმე წუთების წინათ. კვლავ თინა, კვლავ მისი გულცივობა და მის კითხვებზე კვლავ სხვა სალაპარაკო საგანი.

—ჰო, მართალია... ესეიგი, გადმოცემაა; თქმაა დარჩენილი, რომ ამ არე-მარეზე იმდენი ცრემლი დაუღვრია ქართველობას, ტანჯვა ვაების მნახველს, თუ მხურვალე მლოცველ ხელ აპყრობილ დედებს, რო მისგან დიდი გუბე დამდგარა, რომელიც, უეჭველია, დედამიწის გულშიც ჩადიოდა. დროთა განმავლობაში, მან გამოსასვლელი გზა გაიკეთა და ეს მდუღარე ცრემლები, დედამიწამ, რომელიც შენსავით გულცივია, ყინულათ აქცია და გამოსავალი გზა აქ, აი, იმ გვირაბის ქვეშ მონახა, რო გამვლელ-გამომვლელთათვის გახურებული გული გაეგრილებია.

თინა სანდროს, თითქო ყურსაც არ უგდებსო, ამდროს, მიწას ჩაჩერებოდა და მისი სხვერპლი, გასაღიზიანებლათ ქვას ქვაზე ცემდა. სანდროს ამ მოულოდნელი და მკვახე პასუხით, იგი წელში გაიმართა, სანდროს თვალები შეაჩერა და, თითქოს იგძნო თვისი დანაშაული, სანდროს ხელზე ხელი მოუჭირა. აქამდი ის სანდროში ხედავდა ისეთსავე ადამიანს, როგორც იმას საზოგადო წარმოდგენა ქონდა მამაკაცებზე: ტკბილისიტყვები, ფიცი, ათასი სხვა რამ დამამცირებელი საშვალება და, ბოლოს, არაფერი. ახლა მის გულში სიბრალულმა გაიღვიძა და თვისი საქციელის თვითვე მას შერცხვ-

—მაპატიე, სანდრო, თუ ყური ვერ გიგდე, ძალიან გამიტაცა ამ კარგმა ლამემ. ასეთი ლამეები ხომ იშვიათია და, აბა, ვის მხედველობასა და გონებას არ მიიპყრობს იგი.

—კი, ასეა. ასეთი ლამე და სილამაზე არემიდამოთა, რომელნიც საუცხოო სურათებს იძლევიან, ვის ყურათღებას არმიიპყრობს. მარა ნეტარება მათ, რომ ესენი დიდი ხანია არსებობენ, იარსებებენ კიდე და თავისებური მუსაიფითაც ართობენ ერთმანეთს. მარა ჩვენ ?მე? ყველა ესენი მე მაგონებენ წარსულს და ამ წარსულით ივლიან კვლავ, ამათ ასე უცხოვრიათ თავისებურათ აქამდი და ასევე იარსებებენ აწიც: ისინი აღარას ფიქრობენ, არც თავის თავზე, არც სხვებზე და შეყურებენ ადამიანთ, ისე გულცივათ, როგორც შენ—მე. აი, ეს სურათები საკმაო გაგვეთილია; მივცეთ ხელი-ხელს და ხანმოკლე ჩვენ სიცოცხლეში ვიაროთ ცხოვრების ველზე ერთად...

სანდრომ შუბლზე ხელი გადისვა, თავი მაღლა აწია; თმები შეისწორა, ძალ-ღონე მოიკრიფა და მოემზადა უფრო გარკვეულათ ეთქვა, თუ საჭიროთ დაინახავდა თინასთვის ის, რასაც აქამდი გაკვრით მოქმედობდა და, რაც მას საკმაოთ მიაჩდა ახალ-გაზდა ქალის მისაზიდ საშვმლებათ.

თინა წინათაც გძნობდა, რო სანდროს გულში, მას ბინა ქონდა მოკალათებული და აი, ახალაც, ამ წუთშიაც, ყოველივე სანდროს მოძრაობა, თუ გულის თქმაც ამას გამოხატავდა. მარა თავს შორს იჭერდა და ცთილობდა ლაპარაკის საგნათ სხვა რამ წამოეყენებია, მარა ამ ხანათ თინა რაღაც უძლურათ გძნობდა თავს და სანდროც ადვილათ ახერხებდამის შეჩერებას.

—ჩემთვის მხოლოთ ერთი და უკანასკნელი საკითხი ტრიალობს ახლა და გთხოვ, ჩემს სიტყვას უგდო ყური. მარა არ გიწვევ მარტო მოსასმენათ... არა... მე მინდა ჩემი სურვილი დაკმოყოფილებული იყოს, ქალური გულ-გრილობით-კი არა, არამედ ისეთივე აგზნებული სიყვარულით, ისეთივე აღსავსე იმედებით, როგორც მე მაქვს ახლა წარმოდგენილი. ეს სიტყვები გულის ძგერით და აკანკალებული გამოთქმით უთხრა სანდრომ თინას და სმენათ გადაიქცა.

—არ ვიცი, ყმაწვილო, რაგინდათ თქვათ. ჩვენ დღემდისაც კარგახანია ვცნობთ ერთმანეთს, მარა დღეს-კი რაღაც უჩვეულოთ მეჩვენებით. ჩვენ დაახლოვებულიცა ვართ და თითქმის მეგობრებიც და საკვირველათ მიმაჩნია, თუ რაუნდა იყოს ჩვენ შორის სათქმელი, ესე იგი, დღემდი დამალული?

—ესაა თქვენი თანაგძნობა ჩემდამი; სიყვარული-შენი ხელი. ჩემზე მოცემული, უტყუარი სიტყვა, რო მე და შენ ერთმანეთს ვეკუთვნით სამუდამოთ. აი, რა არი დაფარული და რა ვერ გვითქვამს დღემდი.

—სასურველი იყო არც ახლა მეთქვა, მიტო-კი არა, ვითომც მინდოდეს უარი გითხრა, არა! მიზეზი ისაა, რო მე სწავლა მინდა, ცოდნა. მე დარწმუნებული ვარ, ეს სწავლა, ეს ცოდნა, რაც დღემდი შემიქნია, მხოლოთ დასაწყისია, რო მოემზადოს კაცი. და, რო ცხოვრების ჭირ-ვარამს ძლიოს, ამისთვის მეტი ცოდნაა საჭირო. და-რა-კი საამისო შეძლება ამხანათ არა მაქვს, ამიტო გადავწყვიტე შევიდე მასწავლებლათ, ავიღო კერძო გაკვეთილები ვიმუშაო, შევაგროვო რამე და ისე ვისწავლო. მე არ ვეტყოდი სხვა დროს თქვენ წიხადადებას უარს მარა ახლა-კი.

სანდრო ჩაფიქრდა... ის სევდამ მოიცვა და თინას სახეში ჩააჩერდა.

-არაა ცუდი მოსაზრება, მარა შენით მე სრულიათ კმაყოფილი ვარ.

—მარა მეც ხომ ადამიანი ვარ? მე მინდა ჩემი სურვილი დავაკმაყოფილო და, თუ ამის დასაკმაყოფილებლათ ძალიან ცოტა საშვალება მაქვს, გარდა ცალიერი სურვილისა, როგორც ეს თქვენც იცით, მარა ვცთი-კი. ცთა ჩემი ბედის მონახევრე იქნებოდა. ვინ იცის, ასეთი სურვილი, იქნებ, სრული გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს.

— ვთქვათ, ასეც მოხდა! რას მიაღწევ შენი სწავლით. თქვენ-გინდათ მოემზადოთ ისე, რო საზოგადოებას მოუტანოთ რაიმე სარგებლობა, თუ...

—არა, მაგრე შორსაც ვერ გავიწევ, თუმცა სურვილი დიდი მაქვს... ჯერ პატარადან ჯობია დაწყება, აი, თუნდ ბებია გავხდე, ან კბილის მკურნალი. ამ გზებამდი არც ისე დიდი მანძილია გასავლელი.

სანდროს სახე თანდათან გადაიწმინდა. დაღვრემილობის ალაგი სამხიარულო ელფერმა გადაფარა, მასაც მოეწონა ქალის მიზანი და გულში კეთილმა აზრმა გაურბინა.

—ჰმ! კარგია.—თქვა თავისთვის და თინას კვლავ ახლოს ჩააჩერდა თვალებში.

თინა! მე ვიკისრებ იმ ფულის გაღებას, რაც შენ ამ მიზნის მისაღწევათ დაგჭირდება, ვფიქრობ, შევძლებ ამას და, თუ ვერ შევძელი ოჯახი, მამაც დამეხმარება. მით უმეტეს, რო თქვენი განზრახვა სიმპატიურია.

თინა მოიღუშა, მის სახეზე მოწყენილობის ელფერმა გადაიარა და სანდროს ხელს ხელი გამოაცალა. ეს ორი არსება ერთმანეთთან თითქმის კარგი დაახლოვებული მეგობარი იყო. ხშირათ უვლიათ ერთად, როგორც სხვებთან, ისე მარტოთაც და ერთმანეთისთვის ბევრი რამ გაუზიარებიათ თავიანთ ფიქრებიდან, როგორც ორივე მასწავლებელი და აგრეთვე მოწაფობის დროსაც, დახლოვებული ნაცნობები. ერთი მათგანი სანდრო, როგორც უფრო დიდი ხნის მასწავლებელი და მეორე-კი სულ ახალი ფეხშებიჯებული ამ სარბიელზე, რომელიც ახლავე აპირებდა ამ გზის ჩამოცილებას და მიისწრაფოდა უფრო სხვა გზისკენ. ასეთმა ორი ადამიანის ნაცნობობამ სულ სხვა სეხე მიიღო და, რასაც წინათ გაუფთხოდენ, ახლა უკვე დადებით საკითხათ გადაქცეულიყო და ამისი ნაყოფი იყო, სანდროს მხრით პირველი წინადადება. მარა თინასთვის ეს საკითხი ჯერ სრულიათაც არ დამდგარიყო და მით უმეტეს, მისი გული ამ უკინასკნელისკენ სრულიათაც არ მიიწევდა ამ მხრით. ამიტომ იყო, რომ ეს წინადადება და თვით დახმარების საკითხი, ისე აირია ერთმანეთში, რო ვერც-კი გამორკვეულიყო; ვერ მოეფიქრა, რა ეთქვა. თანხმობაც არ იყო, ისე ადვილი მისთვის: თავის დამცირებათ მიაჩდა, არა და, რო მოეფიქრა და მერე მიეცა პასუხი, საამისო დროც ძნელი გამოსაცხადებელი იყო

—ეს მეტის-მეტია, ყმაწვილო, ამდენს ვერ დაგავალებ და, გთხოვთ, ხელი აიღოთ თქვენ განზრახვაზე: მე ჩემი მდგომარეობა—სურვილი აგიხსენით და ეს არი, სხვა დროს, მე იქნებ ბედნიერათაც ჩამეთვალა თავი თქვენი წინადადებით. მარა ახლა-კი ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდა შეგაწუხოთ ასე, რათ უნდა დაგსაჯოთ.

—მე არამგონია, ეს სასჯელი იყოს. ეს კეთილი სურვილია თქვენ დასახმარებლათ და, მეორეც, ხომ ეს დახმარება ჩვენსავე შეძენა ცოდნაზე მიდის. ამით ხო სხვა არ ისარგებლებს და, თუ ამას-კი მოვაწყობ მე, თქვენ საწინააღმდეგო რა უნდა გქონდეთ?

—არა, მარა... ჰო, მომეცით დრო მოვიფიქრო.

რატო! შეიძლება, მარა იმ პირობით, რომ... ა... ხო ჩემი იქნები, ჩემი... ჩვენ ხომ ერთად შევებძოლებით ჩვენ ხვედრ-ბედ-უბედობას, ვიშრომებთ და ვიცოცხლებთ, ჩვენთვისაც-კი არა და სხვისთვისაც... მითხარი, ბარემ. მე გთხოვე, მოსაფიქრებელი დრო მოგეცათ. აკი შემპირდით კიდეც?!.. კი—თქო...

სანდროს სიტყვა გულ-წრფელი იყო და ამიტომ, უნდოდა მალე მიეღო პასუხი თინასგან. მარა თინას გაურკვევლობა-გაუბედაობა ჩაგრავდა მას და ამიტომ ცთილობდა, რო სასურველი სიტყვა ახლავე გაეგონა და თინას სახეზეც ამოეკითხა თანხმობა და, როცა სანდროს თვალები ამ მიზნის გამოსაცნობლათ ელეკტრონის ასანთის საშვალებით მოულოდნელათ შეხვდენ თინას თვალებს, სანდრომ მათში ცრემლები შენიშნა და სახეზეც მოკრძალება ამოიკითხა. ამან მას გული დაუსერა, მარა ყველა ეს ქალური მორცხვობის ნაყოფათ მიიღო და მოულოდნელათ თინა თავისკენ მიიზიდა.

—არა... მე ჩემი სიტყვა ჯერ არ მითქვამს. ამას, მერე ვიტყვი... ეს თქვა თინამ ძლივს გასაგონათ, თვალები ამოიწმინდა და ასადგომათ წამოიწია. სანდრომ ველარა უთხრა-რა თინას, რათგანც ისიც ღელავდა და დალაგებული ლაპარაკიც ამ ხანათ შეუძლებელიც იყო. ხოლო თინა ბინამდი მიაცილა და, გამომშვიდობების დროს, თინასგან გამოწვდილი ხელი, გძნობით ჩაკოცნა და გულში ჩაიკრა.

II

შემოდგომის ერთ შვენიერ დღეს, სხვებთან ერთად თინასაც მიაქანებდა თფილისისკენ მატარებელი. თფილისი, ეს უცხო მხარე იყო თინასთვის და ფიქრობდა, თუ, ქუთაისთან შედარებით, იგი სამოთხე იქნებოდა, ხოლო ქუთაისის ნაცვლათ, საიდანც იგი გულ-მხურვალეთ გამოაცილეს ღარიბმა მშობლებმა, ამხანაგებმა და თვით სანდრომაც, ვინ მიიღებდა აქ, ამ ახალ ქვეყანაში, ან ვინ გაუწევდა ამხანაგობა-მეგობრობას, ეს-კი აფიქრებდა.

თუმცა ერთ-ორ თავის ნაამხანაგართ-კი მიწერა თავის გულის წადილთან ერთად წასვლის დღეც. მარა ახალ გაზდა ქალის გული, ამით ვერ კმაყოფილდებოდა და თვითაც არ იცოდა, რას ფიქრობდა... მარა ბევრს-კი თხოულობდა საზოგადოებისგან, ბუნებისგანც და კიდევ, ვინ იცის—ვისგან. ასეთი ფიქრებით გართული, იგი ჩამოხტა თფილისის სარგურზე და ის იყო ბაქანზე მიმოიხედა უცხომ, მას მოულოდნელათ გადაეხვია ერთი მისი ნაამხანაგართაგანი—მაშო და გადაკოცნა. ეს იყო, რომელსაც წერილითაც აცნობა თინამ წასვლის დღე. მაშოსთან კიდე იყო ერთი, ორი სხვა ქალი და კიდე რამდენიმე ყმაწვილიც, რომელნიც სათითაოთ გააცნო მაშომ თინას, რომელთა შორის, მხოლოთ ერთმა-სანდრომ მიიქცია მისი ყურათღება. ეს ყმაწვილი მეტათ ლამაზი და მომხიბლავი იყო გარეგანი შეხედულებით. ახალგაზდა კაცსაც არ გამოეპარა ქალის მხრივ ყურათღების მიქცევა და შესაფერი ჯენტლმენური იერით ჩაანათა ფართე შავი და მომხიბვლელი თვალები თინას დაღლილ და მკრთალ, მარა სიმპატიურ სახეს და ეს ასე ხდებოდა, ყოველ შეხვედრის დროს.

გავიდა დრო. თინას ოცნებას ფთები შეეკვეცა. ის მოლოდინი, რო თფილისი მისთვის სამოთხე იქნებოდა და ის მასში აფთოვანებული ლაღი მოფრიალე, არ გამართლდა. გამართლდა მხოლოთ ის, რო ყველაზე უფრო გულმხურვალეთ ის ახალმა სანდრომ მიიღო, იმ სანდრომ, რომელიც მაშოსთან ერთად შეხვდა სადგურზე და ხშირათ თფილისის მოდუნებულ ცხოვრებით გულ-გატეხილი, როცა ფიქრებს მიეცემოდა და ამ ფიქრებში ლანდებათ გაივლიდენ ქუთაისიდან გამოყოლილი ტკბილ მოსაგონარი სურათები და იქ მასთან დაშორებული სანდრო გუნებიანის ნაღვლიანი სახე, ამდროს, ახალი სანდროც აიტუზებოდა მის წინ და ხშირათ ასეთი წარმოდგენა სინამდვილეთაც გადაიქცეოდა ხოლმე. ამის შემდეგ, ძულდა კიდეც ეს წარსული მოგონება, მოგონება იმისი, რომ იმას არსებობის—სწავლის საკითხი აკავშირებდა, ვითომდა თავის არა სასურველ პირთან, რომელიც, მისი წარმოდგენით, ხსენებათაც-კი არ ღირდა. თინას ასეთი შეხედულება, ჩემი ფიქრით, უფრო სანდრო გუნებიანის კეთილმა განზრახვამ, ესე იგი, დახმარებითი საკითხის სურვილმა წარმოშვა თინას ოცნებაში, თორე, რომ ეს ლითონი არ გამხდარიყო მათ სამერმისო დამაახლოვებელ საგნათ, დარწმუნებული ვარ, მათ შორის მტკიცე სიყვარულის კვანძი იქნებოდა. დიახ, ასე ყოფილა ცხოვრებაში. ეს შეხედულება თანდა-თან იზდებოდა და მისი სიცოცხლე მოსაბეზრებელი იქნებოდა მისთვისვე, რო სანდრო, ეს ახალი სანდრო, რომელიც თფილისის სადგურზე გაიცნო, ხშირი სტუმარი და გამრთობი არ ამოჩენილიყო მისთვის.

თინას თან და თან ავიწყდებოდა ქუთაისი, იქაური სანდრო, რომლიდანც ყოველთვე ღებულობდა ოცდა თუთხმეტ მანათს, შესაფერი წერილებით, რომელზეც ის მხოლოთ ორიოდე სიტყვით, თუ უპასუხებდა, უფრო იმისთვის, რო შემდეგ თვეებში მიეღო ფული, თორე, ისე კიდეც მალავდა ამ ამბავს და წერილებსაც უმალ მოსპობდა, რო სხვას არ გაეგო. ბოლოს, იმ ზომამდიც მივიდა საქმე, რო თინა უსანდროოთ ველარ ძლებდა. იმის დღიური და სულიერი საკითხი სანდრო და ინსტიტუტი იყო. მარა ეს სახელი მას ეჩოთირებოდა. მოისურვა კიდეც შეეცვალა თავისებურათ, რაიც არც სანდროსთვის დაუმალავს და გულის ფანცქალით, მარა გაბედულათ მიაძახა სანდროს შეხვედრის თანვე:

– მე, სანდრო, უნდა მოგნათლო შენ; ნუ გქვია სანდრო, გერქვას სასო!

—თუ შენთვის ასე ჯობს, ა, ბატონო. ამითი ზიანი არ მოელის ქვეყნიერებას.

თინამ კმაყოფილათ ჩათვალა თავი და ხელი გაუწოდა სასოს.

—რა კარგი დღეა. შეიძლება გაზაფხულის შვენებათ ჩაითვალოს, მეტადრე მომაბეზრებელ და სუსხიან ზამთრის დღეების შემდეგ.

—მართალს ამბობ, თინიკო; ზამთარს, რო გაზაფხული არ მოდევდეს, ესე იგი, დღეს ხვალე, ადამიანის ცხოვრება-სიცოცხლეც მოსაწყენი იქნებოდა. მარა დრო დროს ცვლის... ადამიანის გული და თვალიც ამას ადვილათ ეჩვევა და ასე ცხოვრება თან-და-თან რთულდება.

(შემდგი იქნება)

ა. ხაბულიანი.

სხვა და სხვა ამბავი.

ბერლიდან იტყობინებიან: გერმანეთის ნოტაში, რომელიც ამერიკის ელჩს გადაეცა, ნათქვამია: გერმანეთი განსაკუთრებულის გულხმიერებით მოეკიდა სენატისადმი ვილსონის მიმართვას, რათგანც ესმის აღძულ საკითხების ამა, თუ იმ დადგენილების მიღების მნიშვნელობა. ამასთანვე გერმანეთის მთავრობა აცხადებს, რო განუსაზღვრელ სიამოვნებას ვგძნობ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ გაცხადების ძირითადი მუხლები გერმანეთის სურვილებს და პრინციპებს ეთანხმებაო. უპირველესათ უნდა აღვიაროთ უფლება ყველა ეროვნებათა თვითგამორკვევისა და თანასწორობის. გერმანეთი გულწრფლათ შეეგებებოდა ასეთ დებულებას, თუ, მაგალითად, ინგლისის ინდოეთი, რომელიც დღეინდლამდი მოკლებულია პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, თავისუფლობას ეღირსება. გერმანეთი თავდებად უდგება თავის ხალხს, რომ იგი ჩაერევა საზოგადო მუშაობაში, რო მერმისში თავიდან აცილებულ იქნას ომიანობა. თავისუფალი ზღვა და ყველა ეროვნებისთვის თავისუფალი აღებ-მიცემობა მუდამ გერმანეთის პოლიტიკის ხელსამძღვანელო პრინციპები ყოფილა. მით უფრო მეტი მწუხარებით აღვნიშნავთ მოპირდაპირეთა მტრულ დამოკიდებულებას მშვიდობიანობის დამყარების საქმეში, რაც შეუძლებლათ ხთის თელი ქვეყნის ერებისთვის ამ უმაღლეს მიზნის გახორციელებას. გრმანეთი და მისი მოკავშირენი მზათ იყვენ საზავო მოლაპარაკებას შედგომოდენ და თავისს ძირითად მოთხოვნილებათ დაასახელეს—თავისუფალ არსებობის, სახელისა, და თავის ერთა უზრუნველყოფა. მათ გააცხადეს, რო განძრახვა არა აქვთ გასრისონ და გაანადგურონ მოპირდაპირენი. ასეთი განზრახვანი, ცენტრალ სახელმწიფოთა აზრით, სხვა ეროვნებათა უფლებას არ შეეფერებოდა. ბელგეთის შემოერთება არაოდეს არ ქონია განზრახული გერმანეთს, რომელიც ომის შემდეგ ბელგეთსთან შეკავშირებით ეცთებოდა მხოლოთ კეთილ-მეზობლური გაწყობილება ქონდა და შეუძლებლათ გაეხადა მოპირდიპირის მხრივ ამ ქვეყნის გამოყენება გერმანეთის სავნებლათ. ასეთი სიფთხილე მა უმეტეს საჭირო იყო გერმანეთისთვის, რო მოპირდაპირე სახელწმიფოთა წარმოშადგენლებს არა ერთხელ გაუცხადებიათ, რო ზავის ჩამოგდების შემდეგაც, ვითომც უმაღლესი ეროვნული მოსაზრებით, არ მოიშლიან ჩვენთან გაწესრიგებულ ბძოლას. გერმანეთის მტრებმა გამოამჟღავნეს ომის ნამდვილი მიზანი—დაქუცმაცება და შერცხვენა გერმანეთის, ავსტრიის, ოსმალეთისა და ბულღარეთის. ჩვენ მშვიდობიან განძრახვას მათ დაუპირდაპირეს ჩენი განადგურების სურვილი. ამგვარათ, ახალი გარემოება შეიქნა, რომელმაც ახალი გადაწყვეტილება მიაღებია.

ნოტაში, შემდეგ, ნათქვამია: ინგლისის ფლოტს თვისი ძლიერებით სურს დაიმორჩილოს გერმანეთი დამშევით. ინგლისის მეთაურობით, რამდენიმე სახელმწიფოს კავშირი ხეპრეთ არღვევს საერთაშორისო უფლებებს და ხელს უშლის არა მარტო თავისუფალ აღებ-მიცემობას თვისი მოპირდაპირეებისას, არამედ უსინდისოთ აიწროებს ნეიტრალ სახელმწიფოებსაც ჯ გასაქანს არ აძლევს აღებ-მიცემობაში. ამერიკელს ხალხს მოეხსენება, თუ რაოდენი შრომაა დახარჯული, რომ ინგლისს და მის მოკავშირეებს საერთაშორისო უფლებანი აღასრულებიოს, თავისუფალ ნავოსნობის კანონისთვის პატივი აცემინოსა ინგლისის მთავრობა მაინც ჯიუტობს დ. ომის განგძობას აპირებს სრულ დამშევამდი. თუმცა ვს მათ მოპირდაპირის სამხედრო ძალას არ ასუსტებს, მარა მათ ბავშებს, დედაკაცებს, მოხუცთა და სნეულთ ათას ნაკლებულებას განაცთევინებს, რაც ეროვნულ ძალღონეს საფთხეს გაუმზადებს. ინგლისის ბატონობა უსულგულოთ ხელს უწყობს ახალ ახალ ტანჯვის ზდას და ანგარიშს არ უწევს ადამიანობის მოთხოვნილებას და ნეიტრალ სახელმწიფოთა პროტესტს. საშინელ ომს ყოველ დღე თან მოაქვს განადგურება, აკლება ტანჯვა და სიკვდილი. გერმანეთის მთავრობა თავს ვერ გაიმართლებდა თვისი სინდისისა, გერმანეთის ერისა სამართლის, და ისტორიის წინაშე, რო ყოველი საშვალება არ ეხმარა ომის დასასრულის დასაჩქარებლათ. გერმანეთი იმედოვნებდა ამ მიზნისთვის მოლაპარაკების

გზით მიეხწია, მარა, რა-კი მოპირდაპირემ, უარი განაცხადა, იგი იძულებულია ადამიანურ უმაღლესი პრინციპების გულისთვის განაგძოს მოპირდაპირეთაგან თავზე მოხვეული ბძოლა არსებობისთვის, ყოველი შესაძლებელი საშვალებით. ამისთვის იგი იძულებულია მიმართოს ყოველგვარ საომარ საშვალებას, რაც-კი გააჩნია საზღვაო ბძოლას საწარმოებლათ და იმედი აქვს, რომ ამერიკელი ხალხი და შტატების მთავრობა მიხვდებიან ასეთი გადაწყვეტილების მიზეზსა და აუცილებლობას. გერმანეთის მთავრობას იმედი აქვს, შეერთებული შტატები ღირსეულათ დააფასებენ შექნილ გარემოებას და სრული მიუდგომლობით ხელს შეუწყობენ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, რომელიც შესაძლებლათ მიგვაჩნია. გერმანეთის მთავრობა ელის, რომ ამერიკის მთავრობა გააფთხილებს ამერიკულ გემებს, რომ ერიდონ გარემოცულ ადგილებსა და ნავთსადგურებს შვა მიმომსვლელ გემებს, რომელნიც საქონელსა და მგზავრებს ეზიდებიან.

ნოტას ხელს აწერს ციმერმანი, დართული აქვს ინგლისის გარემოცულ ადგილებისა და საფრანგეთის ხმელთაშვა ზღვის სანაპიროების რუქა.

ვენიდან იტყობინებიან: ავსტრი-უნგარეთის მთავრობამაც ისეთივე ნოტით მიმართა ყველა ნეიტრალ სახელმწიფოებს, როგორც გერმანეთმა.

—

თეირანიდან „ბ. ვ."-ს ატყობიებენ. მოკავშირეთა მტრების გავლენით, სპარსეთიც ამოძრავდა და უილსონის წინადადებას გამოეხმაურა. ისეთი გაზეთებიც-კი, რომელებიც რუსეთ-ინგლისის მიმართ თავდაჭერილ კილოთი წერდენ, ახლა სხვა ჰანგზე ჩივიან. ეს გაზეთები ანიშნავენ სპარსეთის უნუგეშო მდგომარეობას, რომელიც შინაურ მოუწესრიგებლობით-კი არ არი გამოწვეული, არამედ ომიანობის მძიმე გავლენით.

თეირანში კრება კრებაზე იმართება, სადაც სპარსეთის მთავრობას ურჩევენ, აუცილებლათ, ოფიციალურათ მიემხროს უილსონის ნოტას, რო მომავალ საზაო კონფერენციაზე სპარსეთსაც სხვა ნეიტრალ სახელმწიფოებთან უფლება მიეცეს თავის ბედის გამოსარჩლებისა. პეტიციის ავტორნი ურჩევენ მთავრობას, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს უილსონს ნოტის პასუხი იმ იმედით, რო შეერთებული შტატები, რომელიც პატარა სახელმწიფო მოსარჩლეთ გამოდის, სპარსეთის მთლიანობასა და დამოუკიდებლობასაც გამოესარჩლება და აგრეთვე შეეცთება სპარსეთს აუნაზღაურდეს ომიანობისგან მიყენებული ნავთიერ-ზნეობრივი ზარალი.

—

ინდოეთის უკიდურეს მემარცხნე ნაციონალურმა კამიტეტმა სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა უილსონს. კამიტეტი სიხარულით ეგებება უილსონის სამშვიდობო პროგრამას. კამიტეტი დაიმედებულია, რომ ამერიკა ხელს შეუწყობს ინდოეთის მომავალ თავისუფლებას.

—

—**საზოგადო ორგანიზაციებიდან ებრაელების განდევნა.** გაზ. „რეჩის“ ცნობით, ახალი განკარგულება გამოვიდა, რომელის ძალითაც საქალაქო და საერობო კავშირებიდან ყველა ებრაელი, გარდა ექიმებისა და ფერშლებისა, დათხოვნილ იქნას და, მათ მიგიერათ, სხვა სარწმუნოების ხალხი მიიღონ.

—

უწ. სინოდის ობერ პროკურორს რაევს იმედი აქვს, კანონის 87 მუხლის ძალით, გადაადებიოს 160 მილიონი მართლმადიდებელ საღვდელოების უზრუნველსაყოფათ.

—

ეკატერინოსლავის გუბერნატორის ბძანებით, დაიხურა უკრაინელთა საზოგადოება „პროსვიატ“. მიზეზი გამოურკველია.

—

ადესაში აპირებენ ჭების გაკეთებას. წყალს აქამდი მცხოვრებნი დნესტრიდან ღებულობდენ.

საამისო ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შეუდგენიათ. გადაუდვია ჭების გასაკეთებლათ ხაზინას 250 ათასი მანათი.

—

6 იანვარს თფილისში, სამხედრო მუზეუმის შენობაში, გოლოვინის პროსპეტზე, გაიხსნა გამოფენა ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკებისა, რომლებიც ქართველმა მხატვრებმა წარსულ ზაფხულში გადმოიღეს სოფელ ნაბახტევის (ზემო ქართლი) ძველი ეკლესიის კედლებიდან. გამოფენამ აუარებელი ხალხი მიიზიდა. სხვათა შორის, ბძანდებოდენ თავად-აზნაურთა მარშალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავ. კ. ნ. აფხაზი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და სხვა. ამ დღის შემოსავალი უდრის 600 მანათს. ერთმა კაცმა გადაცა მოლარეს ასი მანათი, შეწირულობის სახით. როცა კითხეს, ვისგან არი შემოწირულება, შემომწირველმა არაფერი უპასუხა და მიიმალა. გამოფენის გახსნის დროს, ბ-მა ექ. ს. თაყაიშვილმა რეფერატი წაიკითხა ფრესკების მნიშვნელობის შესახებ. გამოფენა ორ კვირას გასტანს. გამოფენის მიმოხილვა და ბ-ნი ე. თაყაიშვილის რეფერატი ამ დღეებში იქნება დაბეჭდილი.

—

12 იანვარს სხდომა ქონდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას. სხდომაზე მიწვეულ იყვენ და დაესწრენ წერაკითხვისა და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა წარმომადგენელნი. განხილულ იქნა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულის ბ-ნი კობახიძის მოხსენება, ლაზისტანის საჭიროებათა შესახებ. მაგალითად: სურსათისა, ქართულ სკოლებისა, სამკურნალო დახმარებათა, თავშესაფარებისა, სხვადა სხვა საწყობისა და სხვა. კრებამ მოიწონა მოხსენება და იმაში აღნიშნულ მუხლების თანდათანობით გახორციელება მიუცილებელ საჭიროებათ ცნო. დადგენილ იქნა, გასაკუთრებულ დეპუტაციის პირით ყოველგვარი-დახმარება თხოვოს კავკასიისის უმაღლეს მთავრობას, ხოლო ფაკტიური ცნობების შეკრებლაზისტანის შესახებ მცოდნე კაცებს მიანდო.

—

ქართულ ძველ საეკლესიო ფრესკების გამოფენაზე ორთაშვა რიცხვით, ყოველ დღე, დაიარება გამოფენაზე 100-150 კაცი, რომელნიც შესვლის ფულს იხდიან; უსასყიდლოთ მნახველები (გლეხები, ჯარის კაცნი და მუშები) ზედმეტია. უცხო ქვეყნელები აღტაცებაში მოდიან ფრესკებით, გულდასმით სწავლობენ მათ და თავიანთი ჩაბეჭდილების შესახებ წერილებს გზავნიან ფრანგულ და ამერიკულ გაზეთებში. ერთმა ამერიკელმა გააცხადა, რომ ამერიკაში, რო გამოგეფინათ ეს ფრესკები, დიდ ჩაბეჭდილებას მოახდენდა იქაურ საზოგადოებაზეო. ზოგიერთი უცხოელნი ფრესკების ასლს თხოულობენ და ფულს იძლევიან. მარა ასლი ჯერ არ მოიპოვება. გამოფენის გათავების შემდეგ, ხელოვანთა საეთნოგრაფიო საზოგადოებას აზრათ აქვს ფრესკების ასლი გადაიღოს გასასყიდლათ, რაიცა დიდ შემოსავალს მიცემს ხელოვანთა საზოგადოების კასას.

—

„საქართ“ თანამშრომელს, დ. ჩ—ნს, ფინლანდიაში მყოფს, წარსულ თვეს შემთხვევა ქონდა გაცნობილიყო ფინეთის ცნობილ პროფესორს ბ. მიკკოლას. პროფესორი მიკკოლა, თურმე, ფინეთში ერთად-ერთი კაცია, რომელმაც ეგარიანათ იცის საქართველოს ვითარება. ფინურ ენციკლოპედიაში საქართველოს შესახებ მისგან მიწოდებული ცნობებია მოთავსებული, მეტათ შინაარსიანი და სწორი. პროფესორი მიკკოლა კარგი ნაცნობი ყოფილა, აწ განსვენებულ პროფესორ, ალ. ხახანაშვილისა. გახარებული ქართველის ნახვით პროფესორს მაშინვე მიუმართავს „საქართ“ თანამშრომელისთვის შემდეგის კითხვითა: დღეინდელ ვითარეგაში ქართველი ერი რამდენათ იჩენს ბიოლოგიურ ცხოველმოქმედობას? რამდენათ გაიდგა ფესვები ქართველობაში ვაჭრობა-მრეწველობის საქმემ? ქარველ მოდგმათა შორის რა ნაირათ გავრცელდა ქართული ენა და გარდაიქცა, თუ არა იგი საერთო ეროვნულ ენათ? და, როდესაც დ. ჩ—ნისგან ყველა

შეკითვაზე სანუგეშო პასუხი მიიღო, ნასიამოვნებმა და გახარებულმა მიკკოლამ უთხრა: „ძმამავალი თქვენია, ძმანო ქართველნო! თქვენ დიდებულს წარსულს ვიცნობ და ამიტომ დარწმუნებული ვარ, რასაც გეუბნებით. ეცადეთ უფრო გაიღრმავოთ და გააერთიანოთ თქვენი რეალი ეროვნული მოქმედობა. ეცადეთ აჭარალაზისტანი, ეს ძველი ბდიდარი და ფრიად მნიშვნელოვანი თქვენი მხარე კვლავ დაუბრუნოთ საქართველოს, თუ დიდი მომავალი გსურთ თქვენის ქვეყნისა. გისურვებთ ამ მიზნისთვის მალე მიგაღწევინოთ ღმერთმა“! — ეს სიტყვები, — იწერება დ. ჩ--ნი, — პროფესორმა მიკკოლამ ისეთი რწმენით, წრფელი სიყვ-რულით დი სრულის იმედით წარმოთქვა, რო ტანში ერუანტელმა დამიარა და აფრთოვანებული გამოვემშვიდობეო...

—

პეტროგრადიდან თფილისს დაბრუნდენ პარ. გოთუა და ნ. წვერავა და თან ჩამოიტანეს ფინანსთა მინისტრის მიერ ხელმოწერილი და დამტკიცებული წესდება „ამიერ კავკასიის საკაჭრო-სამრეწველო ბანკისა“. 29 იანვარს კერძო თათბირი ექნებათ ამ ბანკის საორგანიზაციო კომიტეტს და აქციონერებს. მარტის პირველ რიცხვებში უნდა მოხდეს ბანკის აქციონერების საზოგადო კრება, რომელიც აირჩევს საბჭოს და გამგეობას და ბანკიც მოქმედებას დაიწყებს.

—

ნინოობას, პეტროგრადში, ქართულ მრევლის გახსნაზე, ქართულათ მწირველნი ბძანდებოდენ: ყოვლათ საღვდელო კირიონი, ეპისკოპოზი პოლოცკელი, ანტონი გორელი, წინამძღვარი სტარო-რუსის მონასტრისა არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და პეტროგრადის ქართველ მრევლის ღვდელი იოს. ჩიჯავაძე. მამა ჩიჯავაძე, მის გასაკუთრებულ მდგომარეობის გამო, უწმიდეს სინოდის მიერ, მკერდის ჯვრით იქნა დაჯილდოვებული. ქართველთა მრევლის გახსნა სავსებით მიტროპოლიტ პატრიარქის საქმეა. ამისთვის მისს ყოვლათ უსაღვდელოესობას ბევრი უსიამოვნობაც გადახდა ვოლჟინის დროს.

—

იმ ნავთიან ადგილების კონცესიების გარდა, რაც უკვე აღებული აქვს ბ. ჯაკიმ — ძე ხოშტარიას, ამ უკანასკნელმა კიდევ მიიღო ახალი კონცესია, როგორც ნავთიან ადგილებისა, არდებილის ოლქში, ისე ყოველგვარ მადნეულობისა ბილიანის, მიზანდარის, ასტრაბაბადის პროვინციებში და არდებილის ოლქში. ამ გვარათ, კონცესია ყველა მადნეულობისა, რაც ჩთილოეთ სპარსეთის იმ ნაწილშია, რომელზეც რუსეთის გავლენაა გარეცულებული, სავსებით აკ. ხოშტარიას ხელშია გადმოსული. განუსაზღვრელია ამ კონცესიათა საეკონომიო მნიშვნელობა.

—

მოაგარაკეთა საზოგადოების წევრთა კრებაზე დასასწრებელათ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მხრით, დაესწრენ ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი და საბჭოს ხმოსანი, მკურ. დ. ა. ნაზაროვი. პირველმა მათგანმა მოხსენება წაიკითხა შემდეგ თემაზე: „წყალტუბოს მადნეულ წყაროების მუნიციპალიზაცია“, ხოლო მეორემ, ბ. ნ. ნაზაროვმა — „წყალტუბოს მადნეული წყაროები და მათი მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის.“

—

დიმიტრი ყიფიანისეული მამული გორისა და შორაპნის მაზრებში, სივრცით 1837 დესეტინა სახელმწიფო ბანკმა გენერალ გურკოს 190.000 მან. მიყიდა. ამბობენ, გურკოს ზურგს უკან ცნობილი მანთაშევი დგასო.

—

აკ. მ. ხოშტარიას, ბაქოს დრამ. წრის გამგეობის თავმჯდომარეს, ცნობილ მრეწველს-ქველმოქმედეს, რომელიც სპარსეთში დიდ სამრეწველო საქმეებს აწარმოებს, სპარსეთის შაჰმა უბოძა ელიმისა და მზე-ლომის პირველი ხარისხის ჯილდოები, ლურჯ ლენტზე სატარებელი.

—

ცნობილ მწერალს, ია ეკალაძეს გუბერნატორმა ნება დართო ქუთაისში გამოცეს ყოველ კვირული ნახატებიანი სალიტერატურო ჟურნალი „ია“ (ყვავილი).

—

ერთ ერთ ფრანგულ გაზეთში ფრანგ ამერიკული ასოციაციის დელეგატის დიუჰანის წერილია მოთავსებული, ამერიკის დღეინდელ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. ომის დაწყებამდი ჩდილო-ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა ერთ დავალიანებულ სახელმწიფოს. დღეს-კი მან თვისი ვალი სრულიათ დაფარა და, პირ-იქით, ევროპის სახელმწიფოთა კრედიტორათ გარდაიქცა. ომის ხანაში ამერიკის ნაციონალური სიმდიდრე 200 მილიონი ფრანკით გაიზარდა, ბანკებში შემონახული თანხა 35 მილიარდით გადიდდა, ოქროს სათადარიგო თანხა-კი 4 მილიარდით. ამავე დროს, პირველ მოთხოვნილებათა საგნების ფასი საგძნობლათ გადიდდა. ემიგრანტთა რიცხვი შემცირდა, ამიტო მეტათ დიდია მუშა ხელზე მოთხოვნილება. შრომის ხელფასი დღითი-დღე იზდება. ამავე დროს, ამერიკაში დიდი სატრანსპორტო კრიზისია, ფრახტი უფრო გაძვირდა, ვიდრე ევროპაში. უმთავრესათ, მუშაობს სამხედრო ქარხნები, ამზადებენ სამხედრო მასალებს მეომარ სახელმწიფოთათვის. გარდასახადები თანდათან მატულობს. ამერიკა მდიდრდება სამხედრო მასალების დამზადებით. სხვა საქონელი ძალიან მცირე კეთდება. ამიტომ, ომის შემდეგ, მოსალოდნელია დიდი სამრეწველო კრიზისი და ეს მით უფრო, რო მეომარი სახელმწიფოები ორ ჯგუფათაა დაყოფილი. თითოული კოალიცია თავის ეკონომიურ კავშირს კრავს და ეს გარამოება დიდ საფთხეს უმზადებს ამერიკის მრეწველობას და კრიზისს გაართულებს.

ამისთვისაა ამერიკა თავ-გამოდებით ელტვის ზავს და ამ გზით ის ცთილობს მოაწესრიგოს თვისი ეკანომიური მდგომარეობა.

—

"მატენ„-ში ადმირალ ფურნიეს წერილი მოუთავსებია, სადაც ამტკიცებს, თუ რამდენათ საშიშია, საბერძნეთი რო გერმანელებს მიემხროს. მაშინ მოპირდაპირეთა წყალქვეშა ნავები მყურო ბინას გაიჩენდენ არქიპელაგსა და პოლაში, ხოლო კატარო და დარდანელი ერთმანეთს დაუკავშირდებოდა ავსტრიისა, საბერძნეთისა, ბულღარეთისა და ოსმალეთის სანაპიროთა წყალობით. ხმელთა შვა ზღვას მტრის გემები გარემოიცავდენ. ამ სახით, იტალიას ადრიატიკის ზღვაში ჩაკეტავდენ, ინგლისს ეგვიპტესა და ინდოეთისკენ პირდაპირ გზას შეუკრავდენ და საფრანგეთს ახალშენებისგან მოწყვეტდენო.

—

ამერიკული ჟურნალი "Snentitie American„-ი გადმოგვცემს: შეერთებულ შტატებში დაამზადეს ახალი ჯურის საფრენი, რომელიც ორი სართულისგან შედგება. საფრენის სიგანე 8 საჯენია, სიგძე 6 საჯენი. ქვედა სართული დიდი ნავის მოყვანილობისაა, რომლის წინა ნაწილში მფრინავი და მგზავრები მოთავსდება, ბოლო ნაწილში-კი-მექანიკოსი. ნავში მოთავსდება 11 სული. ამ საფრენს ორი მოტორი აქვს, თითო 100 ცხენის ღონისა. მოძრაობაში მოდის ელეკტრონის მანქანით. ზედვეა გამართული პროჟექტორი და ნიშნის მიმცემი მოწყობილება. იგი სამხედრო საქმეებშიაც გამოდგება.

ამ საფრენ ნავს ზღვაზეც შეუძლია ცურვა. მისი ნავი 18 დიუმზე ჩაჯდება წყალში და 30 წამში შეუძლია კვლავ აფრინდეს. ზღვაზე შეუძლია 450 ვერსის გავლა, ხოლო ფრენით 750 ვერსი, საათში 90 ვერსს გადის. საფრენის ნავი ისეა მოწყობილი, რო ზღვაზე, ყოველ გვარ ამიდის დროს, შეუძლია ცურვა, როგორც დახურულ ავტომობილს.

—

აჭარლები და „აჩიკ-სოზი"

არავისთვის დაფარული არ არი, რო კავკასიაში გონებრივათ ყველაზე უფრო ჩამორჩენილი თურქები არიან. ყველაზეუკეთ ეს გარემოება ბაქოს მამადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ იცის. ცხვირის წინ ამ საზოგადოებას უვიცი, შეუგნებელი თანამოძმეები ახვევია და იმის მაგიერ, რო მათ გაუხსნას სკოლები, მათში შეიტანოს სინათლე, აჭარას წაეპოტინა და ქართველ მამადიანებში ხსნის სკოლას.

რატო, რა მოსაზრებით?

იმ მოსაზრებით, რო ქართველი მამადიანები მას მიაჩნია თურქებათ.

ბაქოს მამადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების ამგვარ შეხედულებას აშკარათ ამჟღავნებს გაზეთი „აჩიკ-სოზი".

ამ გაზეთში მოთავსებულ წერილს ქართველი პოლიტიკანების შესახებ ერთი ფრიად დიდი ღირსება აქვს: გულახდილობა.

„აჩიკ-სოზისთვისო“, ისე, როგორც ბაქოელ მამადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისთვის, ქართველი მამადიანები არ არსებობენ,—თელი აჭარა დასახლებულია თურქებით.

„აჩიკ-სოზმა“ ორიგინალობაც-კი ვერ გამოაჩინა და პოლიტიკანობით გატაცებულმა დედააზრი ამგვარი პოლიტიკისა სომხის ბურჟუაზიას მოპარა.

სომხის ბურჟუაზიისთვის ქართველი გრიგორიანები არ არსებობენ, ვინც გრიგორიანია, ის სომეხია.

ამგვარსავე აზრს დადგომია „აჩიკ-სოზიც“. მისთვის მამადიანები—ქართველები არ არსებობენ,—ვინც მამადიანებია, ის თურქებია, მორჩა და გათავდა. სარწმუნოება და ეროვნება „აჩიკ-სოზისთვის“ ცალ-ცალკე არ არსებობენ,—მისთვის სარწმუნოება სავსებით ფარავს ეროვნებას. რა ვუყოთ, რომ უძველეს დროს აჭარაში ქართველები იყვენ, დღეს აჭარლები მამადიანები არიან და, მაშასადამე, თურქები.

ეს არი პირწავარდნილი აზიური შეხედულება.

თუ „აჩიკ-სოზს“ უნდა თანამოძმეთა შორის სინათლე შეიტანოს, უმალ თვით უნდა გაინათლოს თავი და შეიგნოს ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ ეროვნება და სარწმუნოება ერთმანეთში ასარევი არ არი და განათლებულ ევროპაში აღარც ურევენ. აჭარა არი საქართველოს ნაწილი, აჭარლები არიან ჩვენი ღვიძლი ძმები—ქართველები.

უძველეს დროში თურქებმა ძალდატანებით, ცეცხლითა და მახვილით შიაღებიეს აჭარლებს მამადის სჯული. მარა განა ეს იმას ნიშნავს, რომ აჭარლები გათურქდენ? ალბათ, ასე ეგონათ იმ თურქებს, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდენ აჭარლებში მამადის სარწმუნოებას.

სამწუხარო მხოლოთ ის არი, რო დღესაც, თურმე, ასე გონია „აჩიკ-სოზს“ და ბაქოელ მამადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას....

აზრის წინმმსვლელობას, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, მათთვის უქმათ და უნაყოფოთ ჩაუვლია.

ჩვენი მეგობრებისგან სულ სხვა პასუხს და სულ სხვა კილოს მოველოდით.

მარა ასეთია ჩვენი ხვედრი...

ვინ გაგვიტანა, რომ „აჩიკსოზმა“ და ბაქოს მამადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გაგვიტანოს!

ქართველებს სრული უფლება ქონდათ, ეფიქრა, რო კავკასიის თურქები თავის წინაპართა ცოდვას აღიარებდენ და იტყოდენ: ძალმომრეობით მოგგლიჯეთ გულზე თქვენი ძმები—აჭარლები და დღეს თქვენი შეერთება ჩვენც გვახარებს, სინდისს გვიწმენდსო.

ამის მაგიერ, რასა ვხედავთ?

როდესაც აჭარამ თვისი ძმები—ქართლი და იმერეთი იცნო და ხელი გაუწოდა, ბაქოს მამადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება და „აჩიკ-სოზი“ შვაში ეჩხირებიან და თავის წინაპართა ცოდვას იმეორებენ: ცთილობენ, ძმები ერთმანეთს დააშორონ.

ამავე დროს-კი გვარწმუნებენ: თქვენი მეგობრები ვართო...

ღმერთმა დაგვიფაროს, ასეთი მეგობრებისგან.

და, თუ ჩვენი მეგობრობის შუბი აჭარლებზე უნდა გადატყდეს, დაე გადატყდეს!

„აჩიკ-სოზმა“-კი არა, კავკასიის თელმა თურქობამ უნდა იცოდეს, რო ქართველი ერისთვის აჭარა გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე ცალიერი სიტყვები მეგობრობისა

ქართველი ერი დიდიხანია დაშორდა „აჩიკ-სოზის“ აზიურ მსჯელობას და სარწმუნოებასა და ეროვნებას ის ერთი-მეორეში არ ურევს.

არც ერთ შეგნებულ ქართველს აზრათ არ მოსვლია აჭარაში ქრისტეანობის გავრცელება და არც გამოთქმულა პრესაში არაფერი ამის მზგავსი.

ჩვენთვის სულ ერთია, რა სარწმუნოებისაც იქნებიან აჭარლები.

ჩვენთვის სრულებით საკმარისია, რომ აჭარლები ქართველები არიან.

ქართველი ერისთვის აუცილებლათ საჭიროა, რო თვით აჭარლები თავის თავს ქართველებათ თვლიდენ.

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ეროვნების საერთო ნიადაგზე სარწმუნოებრივი ქადაგება დავიწყოთ და აჭარლები გავაქრისტეანოთ.

დაე, აჭარლებმა იცნონ თავი მხოლოთ ქართველებათ და რწმენის სამთავროში მამადს გაყვებიან, თუ ქრისტეს, ეს მათი პირადი, მათი სინდისის საქმეა.

„აჩიკ-სოზი“ როდი კმაყოფილდება სარწმუნოებით. აჭარლების მამადიანობის ნიადაგზე დგას, ის მართავს ეროვნულ პროპაგანდას და ცთილობს ქვეყანა დააჯეროს, რომ აჭარლები თურქები არიან.

ეროვნული შეგნება თან-დათან ვრცელდება აჭარლებში, ისინი თავის თავს ნელნელა ქართველებათ აღიარებენ. აქ არი ჩვენი დიდი სიხარული, ჩვენი დიდი დღესასწაული. სამწუხაროთ ჩვენი დიდი დღესასწაული „აჩიკ-სოზს“ შავდღეთ გადაქცევია.

მას მოსვენებას უკარგავს ის გარემოება, რომ აჭარლები თავის თავს ქართველებათ თვლიან.

დიახ, „აჩიკ-სოზო,“ აჭარლები ქართველები არიან. და თქვენი წინაპრები ამაოთ ლამობდენ მათ გათურქებას.

ჩვენ არ ვცთილობთ მათ გაქრისტეანებას, რათგანც მიზანს ვერ მივაღწევთ. ნურც თქვენა ცთილობთ მათ გათურქებას, რათგანც მიზანს ვერ მიაღწევთ.

დაე, აჭარლები დარჩენ მამადიანებათ, აქ ჩვენ არ შეგეცილებით: ეცადეთ, განამტკიცოთ მათში მამადის სჯული.

ხოლო აჭარლები იყვენ, არიან და უნდა დარჩენ ქართველებათ და ყოველის ღონით ვეცთებით, განვამტკიცოთ მათში ქართველობის თვით-შეგნება.

ყოველივეს, რასაც ჩვენი საზოგადოება აკეთებს აჭარაში, მხოლოთ და მხოლოთ ამ მიზნით აკეთებს; მას აზრათ არ მოსვლია, ქართველი მამადიანები მამადიანობას დააშოროს, ხოლო ყოველივეს, რასაც თურქთა საზოგადოება აკეთებს აჭარაში, იმ მიზნით აკეთებს, რო ჩვენ დიდ ეროვნულ მისწრაფებას წინ გადაეღობოს და აჭარლები გაათურქოს, აჭარაში ნიადაგი არ მოამაგრებიოს იმ შეგნებას, რომ აჭარლები ქართველები არიან.

ეს მიზანი რომ არა ქონდეს თურქთა საზოგადოებას, სხვაფრივ აუხსნელია, რისთვის დაჭირდა მას აჭარაში თურქული სკოლები.

თუ თურქთა საზოგადოება გვეთანახმება, რომ აჭარლები ქართველები არიან, აჭარაში ალაგი უნდა ქონდეს მხოლოთ ქართულ სკოლებს, რათგანც ქართველი აჭარლები სარწმუნოებით თურქები არიან, აჭარის ქართულ სასწავლებელში თურქული ენა საგალდებულო უნდა იყოს და უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი.

ჩვენ აჭარაში არ ვაწარმოებთ არვითარ პოლიტიკას, არავის არაფერს არ ვართმევთ, მარა არც ის გვინდა, რო სხვამ წაგვართვას.

თურქთა საზოგადოება-კი სწორეთ პოლიტიკას აწარმოებს აჭარაში, „აჩიკ-სოზიც“ კვერს უკრავს ამგვარ პოლიტიკას და ჩვენ-კი გვიკიჟინებს: პოლიტიკანებოო.

კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო.

ივ. გომართელი.

ქართველების და თურქების ურთიერთობა.

იმ კერო მოლაპარაკებისა გამო, რომელიც ამ დღეებში ქონდათ ქართველებს და თურქების წარმომადგენლებს თფილისში, გაზეთს „აჩიკ-სოზს„ წერენ:

„ამას წინათ გაიმართა თათბირი მამადიანათა და ქართველთა წარმომადგენლებისა იმ გაუგებრობის გამო, რომელიც გამოიწვია ბაქოს მუსულმანთა და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებათა საკულტურო საქველმოქმედო მოღვაწობამ აჭარაში. წარმომადგენლები ასე შეთანხმდენ: 1) იმ ადგილებში, სადაც მკვიდრნი ლაპარაკობენ თურქულ-თათრულ ენაზე და მხოლოთ გვარები შერჩენიათ ქართულის დაბოლოვებით, უნდა დაარსდეს სკოლები თურქულ-თათრული და აქაურ მცხოვრებთან

ქართველ საზოგადოებას არავითარი საქმე არ უნდა ქონდეს. 2) აჭარის იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებლები ლაპარაკობენ ქართულათ და თურქულ-თათრულათაც, სკოლები უნდა იყოს ორივე ენაზე და ხალხი მიაბარებს შვილს, სადაც სურს. 3) იქ-კი, სადაც ხალხის ენა მხოლოთ ქართულია, არსდება სკოლები ქართული ენით. ხოლო საღმრთო სჯული უნდა ისწავლებოდეს თურქულ-თათრულ, სპარსულ და არაბულ ენებზე. ეს პირობები მიიღეს ორივე მხრის წარმომადგენლებმა და ამით დასრულდა ორს საზოგადოებას მორის ჩამოვარდნილი უთანხმოება.

გაზეთ "აჩიკ-სოზის„ ზემოთ მოტანილი ცნობა სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს (შენ. „სახ. ფ.“).

რო ბაქოელ თურქების გაზეთი მართალს არ ამბობს, ამას მოწმობს, სხვათა შორის, მისი მოკეთე "ზაკ.რეჩ.“-ი,რომელიც ანიშნავს ქართველების და თურქების„ შეთანხმებას“ სადავო საკითხების შესახებ და ამბობს: აღიარეს, რო სამამადიანო საქართველოს მკვიდრნი ეროვნებით ქართველები არიან, რომელთა სარწმუნოებრივი გძნობა არავისგან ოდნავათ არ უნდა იყოს შელახულიო...

ქრისტიანი ქართველები ოსმალეთში.

„სამშობლოს“ № 537 დაბეჭდილია ი. ფალიანის წერილი ზემოხსენებული სათაურით. მელიაზგერთში მას უნახავს ერთი ტყვეთ წამოყვანილი კაცი, რომელსაც არც ერთი ენა არა ცოდნია. ბოლოს, ჯარისკაცს გაუგია, ეს კაცი გურჯულათ ლაპარაკობსო. ავტორს გახარებია და შემდეგს მოგვითხრობს:

გამოვედით მე და ჩვენი უფროსი მკურნალი გიორგი ნიჯარაძე და ვკითხე: მართლა იცი ქართული? ვიციო მიპასუხა. სად ისწავლე? ალბათ, საქართველოში ყოფილხარ-მეთქი?

---არა, საქართველო სად არის, არ ვიციო. ჩვენ გურჯებთან ვცხოვრობთ და ყველამ ვიცით ქართულიო.

ამის გაგონებაზე გული საშინლათ ამიძგერდა. გიორგი და მე, გაცვიფრებული ერთმანეთს შევაცქერდით... აღტაცებული ვეკითხები: მითხარი, თუ ძმა ხარ, გურჯები სად, რა ადგილას ცხოვრობენ? შევვარდი კარავში, გამოვარბენინე სკამი, სამგზავრო მაგიდა, რუქა და ვკითხე: იმ ქვეყანაში, საიდანც შენა ხარ, ყველაზე ახლოს რომელი ქალაქია-მეთქი.— ახლოს ქალაქი არ არი.—მაინც რა ქალაქის სახელი იცი თქვენსკენ-მეთქი? -დიარბექირი ვიცი, მოსული ვიციო. საჩქაროთ ვნახე დიარბექირის და მოსულის რაიონების რუქა და დავუწყე გამოკითხვა, თუ რა გზებით იარა, ან რა მდინარეები ჩამოდიან იმ ადგილებზე, სადაც გურჯები და თქვენ ცხოვრობთ-მეთქი. აღმოჩდა, რომ ის ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობდენ, დიარბერქირიდან სამხრეთ დასავლეთით ყოფილა 140 ვერსით დაშორებული. ქართველები შეადგენენ 8 სოფელს, მოსაუბრის აზრით, 12 ათასი სული მაინც იქნებაო. ამ ქართველებს, როგორც მოსაუბრის ლაპარაკიდან ჩანს, შერჩენიათ წმინდა ქართული ენა. ეს არაფერი. საკვირველება ისაა, რო შერჩენიათ მართლმადიდებელი სარწმუნოება ქონიათ თვისი ეკლესიები. მათ შორის ერთი დიდი, თლილი ქვისგან აშენებული ტაძარი, სადაც იმყოფება უფროსი ღვდელი და ღვთის მსახურება გურჯულ ენაზე წარმოებსო. ჩვენ აისორები ბევრი არა ვართ იქ; სულ ორი პატარა სოფელი გვაქვს და სალოცავათ ქართველის ეკლესიაში დავდივართ. ქართველების ღვდლები გვნათლავენ და გვმარხვენო. გამოვკითხე სოფლების სახელები; ჩამომითვალა: 1) წუკატი, 2) ნაზრახული, 3) თუთბა 4) სარჯიკი, 5) ბაზართა, 6) ბერჟიკეთი, 7) ასურბათი და 8) გორჯი. დიდი ეკლესია ყოფილი სოფ. გორჯში. თურქები პირველათ კარგათ იყვენ ჩვენთანო. არც ჩვენ და არც გურჯებს არ გვერჩოდენო. ამ ორი თვის წინ მოიტანეს ამბავი, რომ აისორები ხოცვენ თურქებსო. მაშინ დაგვიწყეს ჩვენც ჟლეტა. ჩემი ძმა, ცოლი, ერთი ქალი და ერთი ვაჟი მოკლესო.

ყველა ამას ავტორი დაძენს: საჭიროა ქართველმა ჯარის-კაცებმა მხედველობაში იქონიონ ზემო აწერილი ამბავი. ვინ იცის, ბძოლის პირმა იქნებ მიაღწიოს აღნიშნულ ადგილებამდი. ნუ დაივიწყებენ, რომ იქ ჩვენი ძმები ყოფილან. ამბის უფრო დაწვრილებით გაგება და ძმების ნახვა-მოვლა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა.

დეპ. აკაკი ჩხენკელის ავათმყოფობის გამო.

ჭიათურიდან. ცხრა კლიტულში მყოფ კატორღელებამდიც მოაწია მშრომელთა ერთგული ჭირისუფლის დეპ. აკაკი ჩხენკელის ავ-

ათმყოფობის ამბავმა, რამაც ისეთაც გულდაკოდილებს მოგვემატა მწუხარება.

მარა გვწამს, რო მალე დაუბრუნდება იგი ხალხის მიერ დაკისრებულ საქმეს და ავათმყოფობაზე არც-კი იფიქრებს. დღეგძელობა და მხნეობა, გაბედულო, თავ დადებულო, დაუღალავო აკაკი!

ქ. ორიოლის

მონდობილობით.

პლ. ოხრობეთელი.

რედაქციისგან.

ჟურ. **„ცხოვრების“** რედაქცია გულწრფელ მადლობას მოახსენებს სვიმონ მერაბის ძე კვიტაშვილს (ბაკოში), რომელმაც ნივთიერი დახმარება გაუწია მას და ორი თვის სამყოფი ქაღალდი გამოუწერა.

ჟურ. **„ცხოვრების“**

—

ფონდის სასარგებლოთ მივიღეთ:

1) პროფესორ პარმენ ივანეს-ძე ჭეიშვილისგან—9 მან.
2) კირიონ ეპისკოპოზისგან — — —5 „„
3) დიომიდე ალექსანდრეს-ძე თოფურიძისგან— —5 „„
4) გრიგოლ მიხაილის-ძე დოლაბერიძისგან— —5 „„
5) გიორგი ეპისკოპოზისგან — — —4 „„
6) ქსენოფონტე იოსების-სე ხარაიძისგან — —4 „„
7) ვანო როსტომის-ძე ამაშუკლისგან — — —2 „„

შემომწირველთ გულწრფელ მადლობას მოახსენებს რედაქცია.

—

მიხაბაძი მაგალითი.

ჩვენთვის სრულიათ უცნობმა პირმა, დიდათ პატივცემულმა, ელიზბარ პეტრეს-ძე კაჭარავამ (სოხუმი) თუთხმეტი ახალიხელის მომწერი უშოვა ამ მდგომარე წელს ჟურ. „ცხორებას“ და 90 მან. გადმოუგზავნა რედაქციას. ასეთი იშვიათი, უანგარო დახმარებისთვის რედაქცია დიდ მადლობას მოახსენებს ამ კარგ ქართველ ადამიანს.

ჟურ. „ცხოვრება“ ერთი წლით გაუწერეს:

1) მიხაილ ილარიონის-ძე მდივანმა არგვეთის სამკითხველოს,
2) ვლადიმერ ჯიბოს-ძე წერეთელმა მერხეთურის სკოლას და
3) ფილიმონ ნიკიფორეს-ძე ვადაჭკორიამ ვანის სამკითხველოს (გურიაში).

რედაკტორ-გამომცემელი **რომანოზ ფანცხავა.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერათ სწავლა-აღზდის საქმეს, ეროვნულ ნიადაგზე. „განათლება“ აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან ტ სიტყვაკაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივათ ყოველ თვე, გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი ტ აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივათ იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში **ვ. ავალიშვილთან**, „Новая рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში, **კიკნაძესთან** და „განათლების“ კანტორაში, ოლლას ქ. № 6. წლიურათ ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თფილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშვალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნუმერი ჟურნალისა ეღირება 50 კაპ. **მისამართი**: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія, Л. Г. Бонвадзе. რედაკტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

„სახალხო ფურცელი“

ნახატებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან. **წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ**: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისთვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისთვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშვადღევის 3 საათამდი, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდი. რედაქციის მისამართი: თფილისი, **„სახალხო ფურცელის“** რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6. Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“. Поч. ящ. 190.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისგან. სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., გოკიელოვის სახ.